+29
1966

თეატრი

2

1966

თბილისი

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მ ო ა მ ბ ე

№ 2 (35)

10.199

საქართველოს სახ. სან. საბჭოს
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა
თბილისი

19 თბილისი 66

რედაქტორი—ნოდარ გურაბანიძე

სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი, ნ. გურაბანიძე, ო. ეგაძე, დ. მჭედლიძე, ბ. ყლენტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი, ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

27 მარტი—თეატრის საერთაშორისო დღე

მიმდინარე წლის 27 მარტს მეხუთედ აღინიშნა თეატრის საერთაშორისო დღე.

1948 წელს პრაღაში ჩამოყალიბდა თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი (თსი). ეს ნებაყოფლობითი ორგანიზაცია, მოწოდებულია ხელი შეუწყოს მსოფლიოს ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობის დამყარებას. მისი დევიზი „თეატრი, როგორც ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მშვიდობის განმტკიცების საშუალება“ — განსაკუთრებით ახლობელია რეალისტურ ტრადიციებზე აღზრდილ საბჭოთა სცენური ხელოვნების მოღვაწეთათვის.

თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტში (თსი) გაერთიანებულია მსოფლიოს 50 ქვეყანა და ამ ქვეყნების პროგრესული თეატრალური მოღვაწეები. „თსი“-ს საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს — „ლე ტეატრ დან ლე მონდ“ („მსოფლიოს თეატრი“) — ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებს ბიულეტენს — „მსოფლიო პრემიერები“. ეს ბეჭდვითი ორგანო დიდად უწყობს ხელს თეატრალური ხელოვნების მიღწევათა ფართო პროპაგანდას.

„თსი“-ს ინიციატივით ჩამოყალიბებული „ეროვნებათა თეატრი“ ყოველწლიურად, მარტიდან — ივნისამდე აჯამებს თეატრალური სეზონის შედეგებს. — ამ ფესტივალზე წარმოდგენილია მსოფლიოს ყველა ქვეყნის თეატრალური კოლექტივების საუკეთესო სპექტაკლები. ამ დათვალიერებაში საბჭოთა კავშირის თეატრებიც მონაწილეობენ.

1961 წელს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის IX კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, ყოველწლიურად 27 მარტს (1957 წ. 27 მარტი „ეროვნებათა თეატრის“ პირველი სეზონის გახსნის თარიღია) ჩატარდეს თეატრის საერთაშორისო დღე.

„ეროვნებათა თეატრის“ საშუალებით წლითიწლობით ფართოვდება და მტკიცდება საბჭოთა თეატრალური ხელოვნების შემოქმედებითი კავშირი მსოფლიოს თეატრებთან. ვითარდება საზღვარგარეთისა და საბჭოთა თეატრების გამოცდილებათა გაზიარების პრაქტიკა.

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების რიგებში მრავალი მაღალკვალიფიციური შემოქმედია; ბევრმა თეატრალურმა კოლექტივმა და ცალკეულმა შემოქმედებითმა მოღვაწემ დაიმსახურა საყოველთაო აღიარება, როგორც ჩვენში, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

თეატრის ამ ღირსშესანიშნავ ფორუმში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საბჭოთა კავშირის მთელი თეატრალური საზოგადოებრიობა. ჩვენი სპეციალური, საკავშირო ჟურნალები და გაზეთები («Театр», «Театральная жизнь», «Советская культура»), ფართოდ ეხმაურებიან ამ თარიღს. „ეროვნებათა თეატრის“ ფესტივალებზე საკავშირო კულტურის სამინისტრო ჩვენს საუკეთესო თეატრალურ კოლექტივებს მიავლენს ხოლმე.

ეს თარიღი საკმაოდ ფართედ აღინიშნება ჩვენი რესპუბლიკის თეატრების მიერაც.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დროულად გამოჰყო თეატრის საერთაშორისო დღის მომწყობი კომისია რესპუბლიკის სახ. არტისტის დ. ანთაძის თავმჯდომარეობით. (საქ. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე), კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ: ი. თავაძე (შ. რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის დირექტორი), ვ. ჭელიძე (საქ. სსრ კულტურის სამინისტროს თეატრებისა და მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი), ო. ეგაძე (ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებას“ რედაქტორი), გ. ლორთქიფანიძე (მარჯანიშვილის სახ. თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი).

თბილისის თეატრებმა ამ თარიღს მიუძღვნეს თავიანთი საუკეთესო სპექტაკლები. სპექტაკლების დაწყების წინ და ანტრაქტებში ჩვენი მსახიობები, რეჟისორები და თეატრმცოდნეები, ესაუბრნენ მაყურებელს ქართული საბჭოთა თეატრის მიღწევებზე და მათ შემოქმედებით ამოცანებზე.

27 მარტს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომა გახსნა საქ. სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ აკ. დვალიშვილმა.

მოხსენება თემაზე: „27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღე“ წაიკითხა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

სხდომაზე გამოვიდნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ლორთქიფანიძე, რესპ. სახ. არტისტი მ. პიასეცკი და თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი ბ. ნიკოლაიშვილი.

დასასრულს ნაჩვენები იქნა კ. მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობა

1966 წლის 9 ივნისს გაიმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეექვსე ყრილობა.

დილის ათი საათია. ყრილობას ხსნის საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დ. ანთაძე.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. გოძიაშვილის წინადადებით ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად და მხურვალე ოვაციებით ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობას.

სიტყვა. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის საანგარიშო მოხსენებისათვის, ეძლევა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს დ. ა ნ თ ა ძ ე ს:

თეატრალური საზოგადოების მეექვსე ყრილობა დაემოხვა ფრიად დიდმნიშვნელოვან ფაქტს: სულ ორიოდე თვეა, რაც მუშაობა დაასრულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამესამე ყრილობამ. ამ ისტორიულმა ყრილობამ განვითარების კონკრეტული გზები დაუსახა სახალხო მეურნეობას, განსაზღვრა მასების იდეური აღზრდის ამოცანები, ერთხელ კიდევ დაადასტურა პარტიის მიერ აღებული ლენინური ნორმების დაცვის მტკიცე და განუხრელი პოლიტიკა.

ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს: ნათელჰყო ლიტერატურისა და ხელოვნების როლი, როგორც კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი უძლიერესი ძალისა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ პარტიამ ხაზგასმით აღნიშნა შემოქმედებითი კავშირებისა და მხატვრული ინტელიგენციის გაერთიანებათა როლი და ახალ ამოცანებთან შეფარდებით მოითხოვა მათი მუშაობის გაძლიერება.

ახლოვდება მრავალი მნიშვნელოვანი თარიღი: — ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავი. ასი წელი დიდი ლენინის დაბადებიდან. ამ თარიღებთან დაკავშირებით მთელი ჩვენი ქვეყანა ერთგვარად შეაჯამებს განვლილ ისტორიულ გზას. ცხადია, ასეთივე შეჯამება დასჭირდება თეატრსაც. მას სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს შემოქმედებით სიმწიფეში, სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტივობაში და თავისი ხელოვნების მხატვრულ სრულყოფაში. და ეს გამოცდა საბჭოთა თეატრმა უნდა ჩააბაროს კეთილისმსურველს, მაგრამ მკაცრად მომთხოვნ პარტიასა და ხალხს.

ასეთ საპასუხისმგებლო ვითარებაში გვიხდება საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეექვსე ყრილობის ჩატარება.

მინდა მოგაგონოთ, რომ თეატრალური საზოგადოება წარმოადგენს ნებაყოფლობით საზოგადოებრივ შემოქმედებით ორგანიზაციას. მისი ამოცანაა აღზარდოს თეატრალური მოღვაწეები საბჭოთა პატრიოტიზმის, კომუნისტური მორალის და ეთიკის სულისკვეთებით, ხელი შეუწყოს იდეურ-პოლიტიკური დონისა და მხატვრული ოსტატობის ამაღლებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას; ქართული და საერთოდ საბჭოთა თეატრის კლასიკური მემკვიდრეობის გამოცდილებისა და საუკეთესო ტრადიციების დაუფლებას.

თეატრალური საზოგადოება არ წარმოადგენს სახელმძღვანელო ან სადირექტივო ორგანოს, რათა ჩაერიოს შემოქმედებითი დაწესებულებების ორგანიზაციულ საკითხებში, არამედ, როგორც ზევით მოგახსენეთ, მისი ძირითადი ამოცანაა დაეხმაროს თეატრის მუშაკებს იდეური და მხატვრული აღმზრდელობითი მუშაობის საქმეში.

ამ თავითვე მინდა ვაღიარო, რომ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი მტკიცე კონტაქტში იმყოფებოდა კულტურის სამინისტროსთან და ყველა საკითხს მასთან ურთიერთობისა და შეთანხმების საფუძველზე სწყვეტდა.

მომხსენებელი ლაპარაკობს საანგარიშო პერიოდში თეატრალური ხელოვნების მნიშვნელოვან იდეურ და შემოქმედებით ზრდაზე. საანგარიშო პერიოდში თეატრალურმა საზოგადოებამ ჩაატარა 14 პლენუმი. ამ პლენუმებზე ძირითადად იხილებოდა ჩვენი რესპუბლიკის თეატრალური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები. კერძოდ, განხილული იქნა ეროვნული დრამატურგიის, რეჟისურისა და აქტიორული ოსტატობის, სასცენო-დეკორატიული ხელოვნების, თეატრალური კრიტიკისა და

სხვა საკითხები. ეწყობოდა რესპუბლიკის თეატრების სეზონების განხილვა-შეჯამება. მაგრამ შემოქმედებითი დისკუსიები მარტო თბილისში როდი იმართებოდა. საქართველოს თეატრალური საზოგადოება თეატრების მუშაობის შეჯამებას ხშირად ადგილებზე — რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებშიც აწყობდა. ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, ზუგდიდში, ჭიათურასა და სხვა ქალაქებში ჩატარდა პრეზიდიუმის გასვლითი სხდომები. ამ სხდომებზე სპექტაკლების განხილვაში ხშირად მაყურებლებიც მონაწილეობდნენ.

საანგარიშო პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ერთ შესანიშნავ წამოწყებას. 1964 წელს თბილისში, ბაქოსა და ერევანში ჩატარდა ამიერკავკასიის თეატრალურ საზოგადოებათა გაერთიანებული პლენუმები. მოძმე რესპუბლიკების ამ პლენუმებმა მეტად კარგი ნაყოფი გამოიღო თეატრალურ მოღვაწეთა შემოქმედებითს დაახლოებაში, ასეთივე პლენუმები ჩატარდება მიმდინარე წელსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ თეატრების ნამუშევარს მცირე ადგილი ეთმობა პრესაში, რადგან ჩვენი გაზეთები ძალზე გადატვირთულია, ხოლო ჩვენს ერთად-ერთ ჟურნალს „საბჭოთა ხელოვნებას“ არა აქვს შესაძლებლობა ყოველდღიურად გამოეხმაუროს თეატრის საჭირბოროტო საკითხებს, რადგან ის ყოველთვიური ორგანოა და თეატრის გარდა აშუქებს ხელოვნების სხვა დარგებსაც.

ამიტომ იყო, რომ თეატრალურმა საზოგადოებამ თავის დროზე დასვა საკითხი, რათა ნება დაერთოთ ან ცალკე ყოველკვირეული სათეატრო გაზეთის გამოშვებისა, ანდა „ლიტერატურული საქართველო“ გამოსულიყო კვირაში ორჯერ და იქ მეტი ადგილი დათმობოდა თეატრის პრობლემებს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს საკითხი თავის დროზე დადებითად გადაწყდება.

თეატრალურ კრიტიკასთან დაკავშირებით ერთ მნიშვნელოვან საკითხს უნდა მივაქციოთ ყურადღება: ეს გახლავთ მეტყველებისა და სიტყვის კულტურის საკითხი. რატომღაც ეს საკითხი მეორეხარისხოვნად მიაჩნიათ ჩვენს თეატრებსაც და კრიტიკოსებსაც. სიტყვა, ცოცხალი სიტყვა, მისი მუსიკალური და რიტმული ბუნება და არსი, ეს ხომ არსებითია სცენაზე და ამის ოსტატი ხომ მსახიობია და მხოლოდ მსახიობი. ქართველმა მსახიობმა უნდა დააკანონოს სისწორე და დახვეწილობა ქართული ენისა, გახსნას და გადაგვიშალოს სიტყვის ბუნების სილამაზე. აბა, გაიხსენეთ, როგორ ფლობდნენ ჩვენი თეატრის უფროსი თაობის კორიფეები ქართულ ენას, როგორ ნატიფად და სათუთად გადმოგვცემდნენ მის ბუნებას. გავიხსენოთ ნინო ჩხეიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნინო დავითაშვილი, ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ალ. იმედაშვილი, ვალ. გუნია, უშანგი ჩხეიძე და მრავალნი სხვანი. დღესაც მრავლად გვყავს ქართული სიტყვის კარგი ოსტატები, ისინი ჯანმრთელად არიან და ჩვენს გვერდით დღესაც მოღვაწეობენ ქართულ თეატრში, ყველა ჩვენგანი მათ კარგათ იცნობს და იცის მათი ფასი, ამიტომ მათ შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან სახელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ენის კულტურის საკითხი, სამწუხაროდ, ჯერაც არ დგას ყურადღების ცენტრში. საჭირო კია რომ მსახიობთან ერთად, ამ საკითხზე სერიოზულად იფიქრონ ჩვენმა რეჟისორებმაც.

ქართულმა თეატრმა უნდა დაიცვას, შეინახოს და სრულქმნას ჭეშმარიტი ქართული სიტყვა.

ამ მხრივ თეატრალურმა საზოგადოებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა. ჩამოყალიბებულია სცენური მეტყველების კომისია, რომელიც უკვე ორი წელია, რაც წარმატებით მუშაობს. ეს კომისია ესწრება სპექტაკლებს და აწყობს წარმოდგენების გარჩევას მეტყველებისა და სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით. კომისიამ ჩაატარა რამდენიმე სესია: ერთი თბილისში — რესპუბლიკური ხასიათის, ხოლო დანარჩენები აჭარაში, აფხაზეთში, ქუთაისში, გორში, თელავში და სხვა.

კომისიის თაოსნობით გამოიცა სათეატრო ტერმინოლოგია. ამჟამად მზადდება გამოსაცემად უფრო ფართო ხასიათის ტერმინოლოგიური კრებული, სადაც თეატრალურ ტერმინებთან ერთად, განიმარტება ხელოვნების სხვა დარგების ტერმინებიც. ამ კომისიას მეთაურობს ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი, რომელიც დროის დაუზოგავად და სიყვარულით მონაწილეობს კომისიის მუშაობაში.

თეატრალურ საზოგადოებაში, გარდა ამ კომისიისა, მუშაობენ: კრიტიკის, აქტიორისა და რეჟისურის სექციები. ისინი ჩვენს თეატრს ეხმარებიან ყოველდღიურ საქმიანობაში, აწყობენ დარგობრივ თათბირებს, ახლოს არიან ჩვენ თეატრების შემოქმედებით პრაქტიკას-

თან და ცდილობენ გამოეხმაურონ მტკივნეულ საკითხებს.

შემდეგ მომხსენებელი ყურადღებას ამახვილებს ჩვენი თეატრების მუშაობაზე.

მართალია, ჩვენი თეატრების მუშაობაში შეიმჩნევა ცალკეული ნაკლოვანებანი, მაგრამ ეს როდია მთავარი; ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები, რომლებზეც აქ უფრო დაწვრილებით უნდა ვილაპარაკოთ. რესპუბლიკის თეატრებმა განახორციელეს კარგი სპექტაკლები, რომელთა შორის აღსანიშნავია ა. მილერის „სელემის პროცესი" ახალგაზრდა რეჟისორის რ. სტურუას რეჟისორობით, სულხან-საბა ორბელიანის იგავების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „სიბრძნე სიცრუისა" ნ. ხატისკაცის და თ. მაღალაშვილის რეჟისურით. საინტერესო იყო აგრეთვე მ. თუმანიშვილის მიერ დადგმული შექსპირის „მეფე ლირი".

მთელი რიგი მნიშვნელოვანი სპექტაკლი განახორციელა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალი", რომელიც მეტად ორიგინალურად ჩაიფიქრა რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ. „მედეა", ვ. ანჯაფარიძის მიერ მედეას როლის ბრწყინვალე შესრულებით, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „ღალატი", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს და შესანიშნავი სახეები შექმნეს ვ. ანჯაფარიძემ, ა. ხორავამ, ს. თაყაიშვილმა და ვ. გოძიაშვილმა. სეზონის დასასრულს კ. მარჯანიშვილის თეატრი მოსკოვში მიემგზავრება საგასტროლოდ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს თეატრი კვლავ ასახელებს ქართულ თეატრალურ ხელოვნებას.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა — ამბობს მომხსენებელი — საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, მაღალ პროფესიულ დონეზე განახორციელა ს. პროკოფიევის „სემიონ კოტკო", მოცარტის „დონ-ჟუანი", მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი" და მ. დავითაშვილის „ქაჯანა".

მომხსენებელი დადებით შეფასებას აძლევს ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული, ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის, სომხური დრამის და მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრების მუშაობას.

უკანასკნელი დროის საქართველოს თეატრალური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ისიც, რომ ამაღლდა ადგილობრივი თეატრების იდეურ-მხატვრული დონე, საგრძნობლად განმტკიცდა და გაძლიერდა შემოქმედებითი პასუხისმგებლობის გრძნობა, კვლავინდებურად წარმატებებს აღწევს ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე.

მაღალპროფესიულ დონეზე მუშაობენ ბათუმისა და სოხუმის თეატრები. საინტერესო სპექტაკლები გვიჩვენეს ჭიათურის, თელავის, ზუგდიდისა და სხვა თეატრებმა. კულტურის სამინისტროსთან ერთად ჩვენ ვითავეთ ზოგიერთი ამ თეატრის ჩამოყვანა თბილისში. დედაქალაქის მაყურებლებმა ნახა თელავის თეატრის სპექტაკლები — რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი" და ლ. სანიკიძის „მედეა", აპრილში ცხინვალის ოსურმა თეატრმა გვიჩვენა „დედის გული" და „სასიძოს გაქცევა", დიდი კმაყოფილებით მიიღო თბილისის საზოგადოებრიობამ ჭიათურის თეატრის სპექტაკლი გ. ხუხაშვილის „ცხოვრება კაცისა", რომლის დადგმაც ო. ალექსიშვილს ეკუთვნის.

მომხსენებელი შეჩერდა ჩვენი თეატრების ნაკლოვანებებზე და გააკრიტიკა რუსთაველის, მარჯანიშვილის და სხვა თეატრების ცალკეული დადგმები.

მომხსენებელი შეეხო ქართული დრამატურგიის საკითხებს, ილაპარაკა ძველი თაობის ოსტატებზე. მათ შემოქმედებითს წარმატებებზე, აღნიშნა, რომ ამ ბოლო ხანს ჩვენს თეატრებში მოვიდნენ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები, დრამატურგები ნ. დუმბაძე, ა. სულაკაური, ო. მამფორია, გ. ხუხაშვილი, პერიფერიის თეატრებში გამოვლინდნენ ახალი ავტორები: დ. კვიცარაძე და ლ. სანიკიძე (ქუთაისი), ა. სამსონია და ა. შერვაშიძე (ბათუმი) და სხვა, რომლებმაც არაერთი საინტერესო დრამატული ნაწარმოები შექმნეს. მაგრამ ქართული თეატრი მაინც განიცდის ეროვნული დრამატურგიის ნაკლებობას. ჯერ ერთი, პიესები ცოტა იწერება და მეორეც, რაც იწერება, თავისი იდეურ-მხატვრული დონით ყველა როდი აკმაყოფილებს ჩვენი მაყურებლის მოთხოვნილებას. თეატრები ზოგჯერ საჭირო მოთხოვნილებას ვერ იჩენენ და გზას უხსნიან უღიმღამო პიესებს, რომლებიც მაყურებლის სულსა და გულს არაფერს აძლევენ.

მომხსენებელი შეეხო თეატრალური კად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების საკითხებს. აღნიშნა შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დიდი როლი ახალი კადრების მომზადების საქმეში. უკანასკნელ წლებში — თქვა მან. — რესპუბლიკის თეატრებში თავი ისახელეს ახალგაზრდა რეჟისორებმა რ. სტურუამ, კ. სურმავამ, ა. ქუთათელაძემ, ლ. მირცხულავამ, გ. ჟორდანიამ, ნ. ხატისკაცმა, თ. მესხმა, მ. კუჭუხიძემ, ნ. ეშბამ, თ. აბაშიძემ, მ. ჯალიაშვილმა, ს. მრევლიშვილმა, ე. ეგაძემ, ჯ. ანჯაფარიძემ და სხვ. რომლებიც ცდილობენ ღირსეულად განაგრძონ წინამორბედთა ტრადიციები.

ამასთან ერთად მომხსენებელმა აღნიშნა ცალკეული ახალგაზრდის ცრუ ნოვატორობით უნაყოფო გატაცება. ამ ნაკლოვანებათა არსებობა იმითაც არის გამოწვეული. რომ უკანასკნელ ხანს თეატრალური კრიტიკა ერთგვარ გულგრილობას იჩენს და დროულად არ ეხმაურება სპექტაკლებს. არ აკრიტიკებს მათ ნაკლოვანებებს.

მომხსენებელმა ჩვენი თეატრის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად მიიჩნია მსახიობთა მეტყველების დაბალი დონე. გულისტკივილით აღნიშნა. რომ სცენიდან სიტყვა ბუნდოვნად ისმის და ფრაზას მსახიობები ხშირად დამახინჯებულად წარმოსთქვამენ.

საანგარიშო პერიოდში — ამბობს მომხსენებელი — მთაწმინდაზე. ჩვენი ერის საამაყო შვილთა გვერდით საპატიო ადგილი მიეკუთვნა ქართული თეატრის რეფორმატორს კოტე მარჯანიშვილს. ამავე დროს დიდუბის პანთეონში დაიდგა უშანგი ჩხეიძის ძეგლი.

კომუნისტური პარტია მოგვიწოდებს ჩვენ, თეატრალურ ხელოვნების მუშაკებს, შთაგონებული შემოქმედებისკენ. ჩვენ ვართ და ვიქნებით აქტიური მონაწილენი ყველაზე კეთილშობილური და პროგრესული საზოგადოების—კომუნისტური საზოგადოების—მშენებლობისა. ჩვენი საერთო ამოცანაა აღვზარდოთ სცენის მუშაკებში პრინციპული დამოკიდებულება თავისი ხელოვნებისადმი, ვიბრძოლოთ ჩვენი გმირული ხალხის ღირსეული თეატრის შესაქმნელად. მაღალი შთაგონებისა და ღრმა აზროვნების თეატრის შესაქმნელად.

ქართული თეატრი ძველთაგანვე ხალხის წიაღში წარმოშობილი ხელოვნება იყო და დღესაც იგი ჩვენი ხალხის შემოქმედებითი აღმაფრენის, მისი ფიქრებისა და იმედების განუყოფელი ნაწილია.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — (სარეგიზიო კომისიის ანგარიში) მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ნინიძე.

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს რეჟისორებმა, მსახიობებმა, კრიტიკოსებმა. თეატრალური საზოგადოების შემოქმედებითი განყოფილების გამგემ ნ. შვანგირაძემ განაცხადა:

მსახიობების და რეჟისორების, მხატვრების და დრამატურგიის შემოქმედებითი-კრიტიკული ანალიზი, დრამატურგიისა და თეატრის შემოქმედებითი ურთიერთობა, რეჟისორის მუშაობა მსახიობთან, სამეცნიერო სესიები, თანამედროვე თეატრალურ მოღვაწეთა გამოცდილების განზოგადოება და სხვა, ყოველთვის იყო და საანგარიშო პერიოდშიაც არის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო-შემოქმედებითი დარგის ქვაკუთხედი. ეს არის მისი მეცნიერული კვლევა და თეატრალური პრაქტიკა. ამასთანავე ერთად იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სტიმულირების ძირითად ფორმებს — როგორიცაა მივლინებები, საიუბილეო, შემოქმედებითი და ხსოვნის საღამოები, საპატიო წოდებებზე წარდგენა, კონკურსები საუკეთესო პიესებზე, სპექტაკლებზე, როლების საუკეთესო შემსრულებლებზე.

ჩვენ შევეცადეთ თეატრის მნიშვნელობის პოპულარიზაციას თავისი გამოხატულება ეპოვა საიუბილეო სესიებში, გამოფენებში, დისპუტებში, მაყურებელთა კონფერენციებში, სპექტაკლების განხილვებში.

განსაკუთრებულად კარგი შედეგი მივიღეთ მოძმე რესპუბლიკებთან და ჩვენს თანაზიარ შემომქმედ კავშირებთან თუ სამინისტროსთან გაერთიანებული პლენუმებისაგან.

ასეთი იყო მაგალითად საქართველოს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა კავშირებთან გაერთიანებული პლენუმები. ამიერკავკასიის თეატრალურ საზოგადოებებთან ერთად გამართული პლენუმები ბაქოში, ერევანში, თბილისში, შემდეგ უკრაინის თეატრალურ საზოგადოებასთან ერთად კიევსა და სხვა ქალაქებში ჩატარებული ღონისძიებები კორნეიჩუკის, კრაპივნიცკის, შევჩენკოს სახელებთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად სახალხო თეატრების მუშაობის, თეატრალური სეზონების გამო გამართული დისპუტები და სხვა.

მუშაობისა და ურთიერთობის ასეთმა ფორმამ კიდევ უფრო შეადუღა მეგობრობის ღრმა ფესვები საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელოვნების მუშაკთა შორის. მეგობრობა, რომელიც ჟამთა სიმრავლემ შთამომავლობას ურღვევ ტრადიციად უანდერძა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოწინავე თეატრალური მოღვაწეები სათუთად ინახავენ ამ მეგობრობას, რომლის შედეგად ვითარდება ჩვენი ხალხების მოწინავე თეატრალური კულტურა.

ამ პლენუმებზე გამოთქმული იყო აზრი თანამედროვე დრამატურგიული ნაწარმოებების თემატურ თავისებურებებზე, ჩვენი პიესების ესთეტიკურ ნორმებზე, საბჭოთა დრამის კონფლიქტების მრავალსახეობებზე და საერთოდ იმ საკითხებზე, რომელიც თანამედროვე ეტაპზე აუმჯობესებს სარეპერტუარო პოლიტიკას.

ასეთსავე პლენუმებზე იყო მსჯელობა რეჟისორისა და მსახიობის ოსტატობის, თეატრალური კრიტიკის შესახებ.

პლენუმებს სტუმრად ესწრებოდნენ სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოებების წარმომადგენლებიც, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ კამათსა და აზრთა გაცვლა-გამოცვლაში.

პლენუმთა მიზანი იყო შეექმნა საზოგადოებრივი აზრი ყოველი თეატრის გარშემო, დახმარებოდა მათ მართალი, პირუთვნელი, გულწრფელი რჩევით.

რაღა თქმა უნდა, ასეთმა პლენუმებმა მომავალშიც უნდა განაგრძონ მუშაობა, მაგრამ ამ შემოქმედებითმა კონტაქტებმა ჩვენ დაგვანახვეს, რომ საჭიროა ამ შეხვედრებზე რესპუბლიკებმა წარმოადგინონ არა მარტო საკუთარი ხელოვნება, გამოთქვან თავიანთი აზრი უშუალოდ საკუთარ ეროვნულ თეატრებზე, არამედ იმსჯელონ ერთმანეთის შესახებაც. ამიტომ, ვფიქრობთ, მუშაობის უკვე მოძებნილ ფორმებში უნდა შევიდეს შესწორებები — სახელდობრ: წინასწარ გაიგზავნოს წარმომადგენლები მოძმე რესპუბლიკებში, რომლებიც შეისწავლიან სპექტაკლებს და შეკრების დროს საშუალება ექნებათ აზრი გამოთქვან მეგობართა შემოქმედებაზეც.

ამის შემდეგ ნ. შვანგირაძე შეეხო სახალხო თეატრების მდგომარეობას ჩვენს რესპუბლიკაში და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამჟამად არსებული 39 სახალხო თეატრიდან მეტი ნაწილი ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. მომხსენებელს მიაჩნია, რომ არ არის საჭირო მხატვრულად უსუსურმა სახალხო თეატრებმა განაგრძონ არსებობა. ეს საკითხი იდგა ერთ-ერთ პლენუმზე — ამბობს ნ. შვანგირაძე — და მისი შესწავლის აუცილებლობა ხაზგასმული იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს კულტურის სამინისტროს თავისი ავტორიტეტული აზრი ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ გამოუთქვამს.

შემდეგ მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემოქმედებითი კადრის საკითხზე და აღნიშნა, რომ ზოგიერთ რაიონში ადგილობრივი ხელმძღვანელობა საჭირო ყურადღებას არ იჩენს ახალბედა შემოქმედთადმი. ვერ უქმნის მათ საყოფაცხოვრებო პირობების მინიმუმს. თუმც, როდესაც ჩვენ ამ მდგომარეობის გამო საყვედური გამოვთქვით სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ერთ-ერთ მდივანთან, მან გვიპასუხა: გასულ წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს პირობის თანახმად ველოდებოდით ახალგაზრდა მსახიობების უკვე შეთანხმებულ რაოდენობას. მოვამზადეთ კიდევაც ბინები, მაგრამ არც ერთი მათგანი პირობების გასაგებათაც კი არ ჩამოსულაო.

ჩვენის აზრით ასეთი საკითხების მოგვარებაში საჭიროა ჩაერიოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, ვისთანაც ერთად საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას არა ერთი სასარგებლო ღონისძიება ჩაუტარებია და კვლავაც ჩაატარებს ჩვენი თეატრალური ახალგაზრდობის ჭეშმარიტ ინტელიგენტებად ჩამოყალიბებისათვის.

კამათში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ ე ს ა რ ი ო ნ ჟ ღ ე ნ ტ მ ა:

ჩვენ დღეს ყველამ კარგად ვიცით, რომ ქართული თეატრი ყოველთვის იყო ჩვენი ქართველი ხალხის აღზრდის, ჩვენი ეროვნული კულტურის განმტკიცებისა და განვითარებისათვის მებრძოლი. და ამიტომ არ შეიძლება არსებობდეს თეატრი მწერლებთან კავშირის გარეშე. მსოფლიო თეატრის ისტორია ამის შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს (შექსპირი, შილერი, ჩეხოვი, ოსტროვსკი, გ. ერისთავი და სხვ.). ასე ვითარდებოდა ყოველთვის თეატრი, თეატრი ყოველთვის ახლოს იყო მწერლობასთან. მწერლობის უდიდეს სახელთან არის დაკავშირებული თეატრის ისტორია და ამიტომაც არც საბჭოთა თეატრის ისტორიაა მწერლებთან კავშირის გარეშე. კოტე მარჯანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილს ვერ წარმოედგინა თეატრი მწერლებთან ყოველდღიური კონტაქტის გარეშე. სანდრო ახმეტელი ამ გზას ადგა და მათ მუშაობაში მხარს უჭერდა გარკვეული წრე მწერლების. თეატრს მწერლები ესაჭიროება არა მარტო როგორც მასალის მომცემი, მარტო ის არ არის თეატრის პრობლემა. თეატრი უნდა იყოს მწერლებთან კავშირში და უნდა ჰყავდეს თავისი მეგობარი მწერლები ყველას, არა მარტო დრამატურგიისათვის, არამედ შემოქმედებითი გზის ძიების და ამ ძიების სწორად გადაჭრის საქმეში თეატრი ვერ მიაღწევს მიზანს ამ კონტაქტის გარეშე. ხოლო ამ ბოლო ხანს კი კონტაქტი აღარ არსებობს და მოწყვეტილია თეატრი მწერლებისაგან მთლიანად. ჩვენ აღარ გვაქვს ეს შემოქმედებითი ძიება და კონტაქტები, რაც აუცილებელია თეატრის განვითარებისათვის. ეს ვისი ბრალია ამას მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ის არის, რომ თეატრს მოეთხოვება მეტი, თეატრი მწერლის გარეშე ვერ იარსებებს... მწერალს შეუძლია იარსებოს თეატრის გარეშე, მაგრამ თეატრს, სამწუხაროდ, არ შეუძლია მწერლის გარეშე არსებობა. თუმცა ბევრი მწერალი არსებობს თეატრის გარეშე, გადის წლები და ის თეატრში არც ერთ სპექტაკლს არ ნახავს, ასეთებიც არიან. არ დადიან თეატრებში, არ იცნობენ მათ მუშაობას, მათ წარმატებებს, ნაკლოვან მხარეებს.

ქართველ მწერლებს, ჩვენ საზოგადოებრიობას არ შეიძლება არ აწუხებდეს ჩვენი ქართული თეატრის ასეთი მდგომარეობა, მაშინ, როცა წარსულში მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებმა განვლეს შემოქმედების შესანიშნავი და სახელოვანი გზა. ამიტომ დღეს, მათ პატივმოყვარეობაზე, მათ ანაბარა არ შეიძლება დავტოვოთ თეატრების ბედ-იღბალი. რადგან ქართული თეატრები არა მარტო ამ თეატრების კოლექტივების საკუთრებაა, არამედ ეს არის მთელი ერის საკუთრება. ამიტომ ამ საქმეში მათ დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ, ეს ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა და ამის გაკეთება აუცილებელი პირობაა ჩვენი ხალხისათვის, მათ შემოქმედებისათვის. რა არის ჩვენი მიზანი? აღვზარდოთ ხალხი ჩვენი ეროვნული კულტურის სიყვარულის სულისკვეთებით. ყველა ეს ამოცანა დღეს დგას ჩვენი მწერლების წინაშე, ჩვენი ერის წინაშე, ამიტომ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა აღვზარდოთ იდეურად, მორალურად. ამ ამოცანებს უნდა ემსახურებოდეს ჩვენი თეატრი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: შ. გაბესკირიამ, ვ. ჭელიძემ, მ. მრევლიშვილმა, გ. ლორთქიფანიძემ, ს. მთვარაძემ, მალიკო მრევლიშვილმა, საქართველოს კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა. ყრილობას მიესალმნენ მოძმე რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებათა წარმომადგენლები: ვ. ოსტალსკი (რსფსრ), ა. სოლომარსკი (უკრაინა), ა. ხოჯაევი (უზბეკეთი), მ. აპოსტოლოვი (მოლდავეთი), რ. კაპლანიანი (სომხეთი), მ. მარდანოვი (აზერბაიჯანი), ა. მალდახმატოვი (ყირგიზეთი).

ყრილობამ აირჩია ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციის და პროპაგანდის განყოფილების გამგემ შ. სალარიძემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. სალუქვაძემ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა:

დ. კ. ანთაძე (პრეზიდიუმის თავმჯდომარე), **ვ. ი. ანჯაფარიძე, შ. ნ. აფხაიძე, ვ. დ. გოძიაშვილი, ა. ა. დვალიშვილი, ო. ნ. ეგაძე, ს. ა. ზაქარიაძე, ი. ყ. თავაძე, გ. ი. იაკაშვილი** (თავმჯდომარის მოადგილე), **ვ. პ. კიკნაძე, ნ. ვ. კიტია, გ. დ. ლორთქიფანიძე, ე. ა. მანჯგალაძე, მ. ნ. მრევლიშვილი, მ. ი. პიასეცკი, ბ. დ. ულენტი, ნ. ი. შვანგირაძე, ა. ი. ჩიმაკაძე, დ. ი. ჩხეიძე** (პასუხისმგებელი მდივანი), **ა. ე. ჩხარტიშვილი, ა. ა. ხორავა, დ. ს. ჯანელიძე, მ. ვ. ჯაფარიძე.**

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის ახალი შემადგენლობა:

თ. გ. აბაშიძე, ა. ა. აბარიანი, დ. ა. ალექსიძე, ო. ა. ალექსიშვილი, დ. კ. ანთაძე, შ. ნ. აფხაიძე, ე. ე. აფხაიძე, ვ. ი. ანჯაფარიძე, თ. ვ. ბურბუთაშვილი, გ. ვ. ბუხნიკაშვილი, შ. მ. გაბეს-

კირია, ი. ს. გვინჩიძე, მ. ნ. გიუიმყრელი, ე. ვ. გოგიაშვილი, ვ. დ. გოძიაშვილი, ე. ნ. გუგუშვილი, ნ. ს. გურაბანიძე, ა. ა. დვალიშვილი. ო. ნ. ეგაძე, ა. პ. ეგუტია, ი. ლ. ვაკელი, ა. ა. ვასაძე, ს. გ. ვაჩნაძე, მ. ს. ვაშაძე, ს. ა. ზაქარიაძე, ი. ყ. თავაძე, დ. მ. თავაძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, მ. ი. თუმანიშვილი, გ. ი. იაკაშვილი, ე. კ. იოსელიანი, ლ. შ. კასლანძია, ს. დ. კალანდარიშვილი, ვ. პ. კიკნაძე, ნ. ვ. კიტია, ი. ო. კობალაძე, კ. ნ. ჯუკულაძე, ვ. ზ. კაიროვი, ბ. პ. კობახიძე, გ. დ. ლორთქიფანიძე, კ. ი. მახარაძე, ე. ა. მანჯგალაძე, შ. კ. მებურიშვილი, ს. ვ. მთვარაძე, გ. ი. მიქელაძე, შ. ბ. მესხი, მ. ნ. მრევლიშვილი, დ. ს. მჭედლიძე, პ. ლ. მურღულია, თ. კ. მუშკუდიანი, კ. კ. ნინიძე, ბ. ი. ნაკაიძე, ა. ა. ომიაძე, მ. ი. პიასეცკი, ბ. დ. ულენტი, შ. ა. სალუქვაძე, ბ. გ. სიხარულიძე, ი. ვ. ტრიპოლსკი, ნ. ა. ურუშაძე, გ. გ. ფოფხაძე, ე. დ. ქარელიშვილი. რ. კ. ქორქია, ა. ე. შანიძე, ნ. ი. შვანგირაძე, ნ. ნ. შალუტაშვილი, ა. ი. ჩიმაკაძე, მ. ა. ჩირინაშვილი, ა. ე. ჩხარტიშვილი, დ. ი. ჩხეიძე, ა. ვ. ძიძიგური, თ. ი. ჭავჭავაძე, ა. ნ. ჭედია, ვ. ვ. ჭელიძე, ს. ფ. ჭელიძე, ა. ა. ხორავა, შ. მ. ხაჟალია, შ. გ. ხერხეულიძე, მ. ვ. ჯაფარიძე, მ. შ. ჯაფარიძე, დ. ს. ჯანელიძე, ვ. მ. ჯახუტაშვილი.

სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა:

თ. ი. ბაქრაძე, ნ. ვ. გუნია, შ. ა. დავითაძე, გ. ნ. დარისპანაშვილი, ა. ლ. კვანტალიანი, ნ. ვ. კევლიშვილი, გ. კ. კირსანოვი, მ. ქ. კოსტავა, მ. ვ. მგელაძე, რ. მ. მერაბოვი, ც. ნ. მეძმარიაშვილი, ვ. ა. ნინიძე, პ. გ. პატარაია, გ. ფ. საღარაძე, ა. ა. ტრაპაიძე, ლ. ა. შენგელია, ს. გ. ცომაია, დ. ვ. ჭეიშვილი, ე. ა. ჩოხელი, კ. ე. ხუნდაძე, თ. ი. ჯანელიძე.

ქუთაისი

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის შემოქმედების გამო გამართულმა მაყურებელთა კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობდნენ თეატრალური საზოგადოების კრიტიკისა და მეტყველების სექციის წევრები ვ. კიკნაძე, ი. მაისურაძე, ა. ტრაპაიძე, ცხადყო, რომ თეატრი სწორ გზაზეა და აღმავლობას განიცდის.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი აკ. ვასაძე ახალგაზრდული ენერგიით და მაღალპროფესიული ოსტატობით ქმნის არა მარტო სცენურ სახეებს. არამედ, უპირველესად, თვით თეატრის შემოქმედებით სახეს. ამ თეატრის ტრადიციას კი ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის უმდიდრესი ტრადიცია ჰკვებავს. წლების მანძილზე იცვლებიან თაობები, მაგრამ იმ საუკეთესოს, რაც შეადგენს თეატრის სახეს, მის განსაზღვრულ არსს, თეატრი, სათუთად უფრთხილდება.

კოფერენციაზე თეატრმა ოთხი სპექტაკლი წარმოადგინა: შალვა ღადიანის „გუშინდელნი", პოლიკარპე კაკაბაძის „ცხოვრების ჯარა", ეგონ რანეტის „ბრაკონიერები" და ლევან სანიკიძის „ნერონი".

შ. დადიანის შესანიშნავი პიესა „გუშინდელნი" დროისაგან ნიადაგ გამოცლილთა ტრაგი-კომედიაზე აგებული სპექტაკლია — მასში რეჟისორი აკაკი ვასაძე ეძიებს და პოულობს იმ წარსულ დღეთა ხვაშიადს, რომელსაც, ვინ იცის, საით დაუქროლებდა სუსხიანი ქარი. მხატვარ დ. თავაძესთან ერთად რეჟისორი ძუნწ გამომსახველობითი ხერხებით ქმნის მაქსიმალურად ემოციურ სცენებს. რა თქმა უნდა, პირველი დიდი საშუალება ამისათვის თეატრის ნიჭიერი კოლექტივია. მაგრამ აქტიორული ხელოვნების ტრიუმფი მაინც აკ. ვასაძის განუმეორებელი ნიჭიერებით შექმნილი კოწია უქნარაძეა. როლი, ყოველ თავის ნიუანსში ჩვენი არტისტის დიდი ბუნებითა და მოქალაქეობრივი პათოსით სუნთქავს. ცოცხლობს ცხოვრობს, განაცდევინებს დარბაზს.

ეგონ რანეტის პიესა „ბრაკონიერები" ერთის მხრივ შემოქმედებითი დეგრადაციის გზაზე დამდგარი მხატვრის ცხოვრებას ასახავს ხოლო მეორეს მხრივ, ამავე შემოქმედის ფეხზე დაყენების პრობლემას. დრამატურგი სცოდავს იმაში, რომ ცდილობს ეს უკიდურესი გარდატეხანი შემოქმედში, შემოქმედებითი პროცესის მიღმა აჩვენოს. მაგრამ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი მ. ფურცხვანიძე (მხატვარი ბრანოვერი, მუსიკალური გაფორმების ავტორი ნ. ძნელაძე) და განსაკუთრებით შესანიშნავი აქტიორული ძალები — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. მეგრელიშვილი (იაგუპი) რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გრ. ნაცვლიშვილი (ადამი), ახალგაზრდა მსახიობი ლ. ვაშაკიძე (ძველა) — სცენურ პირობებში საერთო განწყობების, ზოგჯერ უტრიტებული ფერებით, მეტ ნაკლებად უმალ დრამატურგის უფრო მიზნის შესრულებას აღწევენ ვინემ ამ მიზანს თავისი გამომსახველობითი ხერხებით აღწევდა თვით ავტორი.

„ცხოვრების ჯარა" ქუთაისის თეატრის სცენაზე ეს ორის ბრძოლა ორი ბანაკისა, რომელთაგან ერთ-ერთის გამარჯვებას თვით ცხოვრების კანონზომიერება აპირობებს. დამდგმელი რეჟისორი აკ. ვასაძე სწორედ ლოპიანეს ბანაკს უპირისპირებს თორნიკეს, ციცინოს, ბახუტას, მოგელის ახალგაზრდულ ენერგიას, შემართებას. მიზნებს და ამ ბრძოლაში სწორედ სპექტაკლის ახალგაზრდობა იმარჯვებს. ცხოვრების ჯარა კი ტრიალებს... სპექტაკლის მხატვარი დ. თავაძე სცენურ პირობითობას დეკორაციულ გაფორმებასა და კოსტიუმებში ორი ფერის, ორი შუქის საშუალებით აღწევს და ამით კიდევ უფრო აღრმავებს რეჟისორის ჩანაფიქრს. ბუნებრივია, „ცხოვრების ჯარა" მსახიობური შემადგენლობითაც ორი თაობის სპექტაკლია, ორი ძალზე ნიჭიერი და მრავლისმთქმელი თაობისა: ვ. მეგრელიშვილი (ლოპიანე), შ. პირველი (გერასიძე). მიჭუჭუნე—გრ. კოკელაძე, ქრისტოსტორე—ი. მიქიაშვილი, ბეჟანი—კ. აბესაძე, ზეფორე—ქ. კოლხიდელი. ე. სვანიძე (თორნიკე), ლ. ვაშაკიძე

(ციცინო), ე. დადიანი (ჟუჟუნა), გ. ბერძენი (გვარამი), ი. სიხარულიძე (ბახუტა), გ. კოკელაძე (მოგელი), ანზ. ხერხაძე (ფილიმონი).

ლევან სანიკიძის „ნერონს“ ტრაგი-კომედია აწერია და ისიც სავსებით ამართლებს ჟანრობრივ დანიშნულებას. ავტორმა და თეატრმა შეძლეს არამარტო ღრმად ჩაეხედათ შორეული წარსულის გაუკვართავ ლაბირინთებში, არამედ, უპირველესად, სწორად შესძლეს თანამედროვე ყღერადობა მიეცათ ისტორიული ქრონიკონის ერთი ფურცლისათვის.

გარდა ამისა ლევან სანიკიძის პიესებს შორის „ნერონი“ ყველაზე დასრულებული, მხატვრული თვალსაზრისით გამართული, დრამატურგიულად შეკრული პიესაა. მასში ხასიათები გამოკვეთილია და რაც მთავარია, სცენურ მოქმედებისათვისაა დამორჩილებული.

სპექტაკლის ახალგაზრდა რეჟისორმა თამაზ მესხიმ შესანიშნავად აუღო ალღო ნაწარმოების თავისებურებას. დრამატურგის ჩანაფიქრი სახიერ მიზანსცენებსა და სცენურ განწყობებში კიდევ უფრო გააღრმავა. სპექტაკლის ძასობრივი სცენები ქმედითი გახადა. ამ ახალგაზრდა რეჟისორზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება. მაგრამ აქ ვიტყვით, რომ მისი შემოქმედებითი პოტენციალი უფრო მეტს გვპირდება.

მხატვარმა ფარნაოზ ლაპიაშვილმა ამჯერადაც კიდევ ერთხელ დაგვმტკიცა, რომ მონუმენტური სპექტაკლის დეკორატიულ გაფორმებისა და კოსტუმების შექმნაში ჩვენში ამჟამად ცოტა თუ შეედრება, ხოლო ახალგაზრდა კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი ჩინებულად ეუღებს ალღოს არამარტო თეატრალური ხელოვნების სპეციფიურობას, არამედ შესანიშნავად კითხულობს „ნერონის“ საკმაოდ რთულ პარტიტურას.

თეატრალურ კრიტიკაში ცოტაა ისეთი ტერმინი, რომელსაც სრულყოფილად შეეძლოს იმ დიდი ესთეტიური სიამოვნების გადმოცემა, რომელიც მოგვანიჭა აკ ვასაძის ბრწყინვალედ შესრულებულმა ნერონმა. მსახიობის მიერ შექმნილი ეს სახე თავისუფლად შეიძლება ამოუყენოთ გვერდში მისი შემოქმედების ცენტრალურ სახეებს. აკ. ვასაძის ნერონი — ეს არის ტალანტისა და ოსტატობის დემონსტრაცია.

აკ. ვასაძის ნერონს სპექტაკლში შესანიშნავ პარტნიორობას უწევენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ქ. კოლხიდელი (პოპეა), თ. ღვინიაშვილი (აგრაპინა), ალ. ქელბაქიანი (პეტრონიუსი), მ. სვანაძე (სენეკა), ე. გვენცაძე (ვესპასიანე), მსახიობები ა. ხერხაძე (ტიგელინი), ნ. თოდაძე (აინა), ერ. სვანაძე (ამონა), ირ. ბალიაშვილი (არშენი), ივ. მიქიაშვილი (სალვიუს, ოტონი), გედ. კოკელაძის (თრაზეა პეტუსი).

კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო თეატრში და კერძოდ სპექტაკლებში ქართული ენის, ქართული მეტყველების საჭირბოროტო საკითხებს. ამაზე ვრცლად ილაპარაკა დოცენტმა ილ. მაისურაძემ.

ქუთაისის თეატრის კოლექტივი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დღევანდელი თეატრის წინაშე დასმულ საკითხებსა და პრობლემებს პასუხი გასცეს.

ცხინვალი

მიმდინარე წლის 19-დან 26 აპრილამდე საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ცხინვალში, კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოაწყო ამ თეატრის მაყურებელთა კონფერენცია.

წინასწარ, კონფერენციის დაწყებამდე, ბრიგადამ, რომელშიაც შედიოდნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი მ. ოლშანიცკაია, რეჟისორი კ. სურმავა, ნ. შვანგირაძე, ალ. შალუტაშვილი, ა. ტრაპაიძე და ნ. კევლიშვილი დაათვალიერა ცხინვალის თეატრის სპექტაკლები — ქართულ კოლექტივში — ი. ჟურულის „პროკურორის ქალიშვილი“, ვ. კანდელაკის „ნაკრძალში“, გ. ნახუცრიშვილის „შაითან-ხიხო“ და „ბორის ძნელაძე“, ხოლო ოსურ კოლექტივში — ს. კაიტოვის „დედის გული“, გ. გაგიევის „სასიძოს გაქცევა“ და გაფეზის — „ხალხის სიკეთე“.

კონფერენცია გახსნა სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ამხ. გ. ქოქოევმა.

მისასალმებელია საქართველოს თეატრალური საზოგადოების ეს ინიციატივა, ამგვარი ღონისძიებებით უშუალო კონტაქტი მყარდება თეატრსა და მაყურებელს შორის, რაც, ცხა-

დია. ხელს უწყობს თეატრის შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესებას.

ამხ. ქოქოევის შესავალი სიტყვის შემდეგ ცხინვალის თეატრის ქართული დასის სპექტაკლების შესახებ მოხსენებით გამოვიდა თეატრმცოდნე ანზორ ტრაპაიძე.

როგორც ცნობილია, — თქვა მომხსენებელმა — თეატრისათვის მთავარი რეპერტუარის შერჩევაა, ვინაიდან სწორედ იგი ქმნის თეატრის სახეს. ჩვენს მიერ ნანახი სპექტაკლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს ცხინვალის ქართული თეატრის რეპერტუარი: „პროკურორის ქალიშვილი“ და „ნაკრძალში“ თანამედროვეობის ამსახველია, „ბორის ძნელაძე“ — ისტორიულ-რევოლუციურია, ხოლო „შაითან-ხიხო“ — ზღაპარი-კომედია. უნდა აღვნიშნო, რომ პირველ ორ სპექტაკლში მელოდრამატულობა ჭარბობს. რა თქმა უნდა მელოდრამებს აქვს უფლება სცენაზე ყოფნისა, მაგრამ ერთგვარი ზომიერებაა საჭირო ასეთი პიესების შერჩევაში. მელოდრამა კარგია, როცა დიდი და სერიოზული პრობლემა წყდება, მაგრამ საშიშია, როცა მას დონ-კიხოტური ხასიათი აქვს.

ა. ტრაპაიძე აღნიშნავს, რომ სპექტაკლ „ნაკრძალში“ ყველაფერი ერთადაა თავმოყრილი. მასში დასმულია 1937 წლის პრობლემა. ცხადია, თავისთავად ეს დიდი პრობლემა ვერ გადაწყდება, მითუმეტეს, რომ პიესაში თვით საკითხი მეტისმეტად გაუბრალოებულადაა დასმული. ამიტომაც სპექტაკლი შედარებით უფერული გამოვიდა.

რაც შეეხება სპექტაკლს „ბორის ძნელაძეს“, — განაგრძობს ა. ტრაპაიძე. — თუმც იგი ამ ოცდაათი წლის წინად დაიდგა, მაგრამ თეატრი და მაყურებელი არც ახლაა გულგრილი მის მიმართ, რადგან ჩვენი ხალხი არ ივიწყებს თავის რევოლუციურ ტრადიციებს, იმ ადამიანთა სახელებს, რომლებმაც მთელი თავიანთი სიცოცხლე კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლას დაუკავშირეს. სპექტაკლი „ბორის ძნელაძე“ თავისთავად კარგი სპექტაკლია, მაგრამ მაინც საჭირო იყო პიესის ახლებურად გადახედვა და ახლებურად აჟღერება. მეტად ღარიბია სპექტაკლის მხატვრული გაფორმებაც.

სპექტაკლი „პროკურორის ქალიშვილი“ თანამედროვე კომედიაა. სპექტაკლი კარგად მიიღო მაყურებელმა. არაფერი დაუშურებიათ მის დამდგმელ რეჟისორს (მ. დანიელაშვილი) მხატვარს (ვ. ცერაძე) და კომპოზიტორს (ო. ჩოჩიევი) რათა შეექმნათ მხიარული, ხალისიანი და ნამდვილი ახალგაზრდული გატაცების სპექტაკლი.

სპექტაკლი „შაითან-ხიხო“ კარგი სპექტაკლია (დამდგმელი რეჟისორი ს. ვაჩნაძე). სათანადო დონეზეა აგრეთვე მისი მხატვრული და მუსიკალური გაფორმებაც. ერთადერთი რაც შეიძლება აღვნიშნოთ ეს არის მისი სანახაობითი მომენტების სიმცირე. განსაკუთრებით ეს იგრძნობა სპექტაკლის მეორე ნახევარში. ზღაპარი კი თავისი სანახაობებით იტაცებს მაყურებელს.

ცხინვალის თეატრის ოსური სპექტაკლების შესახებ ილაპარაკა რეჟისორმა კ. სურმავამ.

— უნდა მოგახსენოთ — თქვა მან — რომ ჩემს მიერ ოსურ დასში ნახულმა სპექტაკლებმა: „დედის გული“, „სასიძოს გაქცევა“ და „ქვეყნის სიკეთე“ — დიდი სიამოვნება მაგრძნობინა. სპექტაკლი — „სასიძოს გაქცევა“ ძირითადად ოპერეტის ჟანრის პიესაა და მეტად რეალისტური სპექტაკლია. კარგია სპექტაკლის მხატვრული და მუსიკალური გაფორმებაც, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ რეჟისორმა (გ. კიბისოვი) მთლიანად ვერ ასწია ავტორის ჩანაფიქრი.

სპექტაკლი „დედის გული“ მეტისმეტად გადატვირთულია. მასში გადმოცემულია სამი ტრაგედია — შვილმა უხეირო ცოლი შეირთო, შვილიშვილი დასახიჩრდა და ბოლოს ნაშვილებს ნამდვილი დედა გამოუჩნდება. არის თუ არა ეს სამი ტრაგედია ნაგრძნობი სპექტაკლში? რა თქმა უნდა არა! ასევე არ არის მოტივირებული და გამართლებული დედის სიკვდილი. მთავარი მოქმედი პირი — დედა (მსახიობი ლ. გალავანოვა) პირდაპირ გადაიღალა. მთელი სპექტაკლის მანძილზე გრძელდება მისი ტრაგედია. გარდა ამისა სცენაზე ზოგიერთი ნივთის უხეირო ხმარება სიცილს იწვევს მაყურებელში. რატომღაც ფოსტის დამტარებელს ყოველთვის საშინელი ამბები მოაქვს. ეს უკვე რეალური აღარაა.

რაც შეეხება სპექტაკლს — „ქვეყნის სიკეთე“ ასეთი სპექტაკლი უთუოდ უნდა იყოს თეატრის რეპერტუარში. მაგრამ მასში ბევრი დაუჯერებელი ამბებია (შვილი იკლავს თავს და მამა ოდნავადაც არ რეაგირებს) ასევე გაჭიანურებულია სპექტაკლის ფინალი.

ა. ტრაპაიძისა და კ. სურმავას მოხსენებების

შემდეგ გაიმართა დისპუტი. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ნ. შვანგირაძემ, ალ. შალუტაშვილმა, მ. ოლშანიცკაიამ, ირ. შერეზადაშვილმა, ნ. კევლიშვილმა, არ. მამისაშვილმა (გაზ. „საბჭოთა ოსეთი"), გაფეზმა (მწერალთა განყოფილების მდივანი), ს. ხაბიროვმა (დრამატურგი), ვ. კასრაძემ (პედაგოგი) და სხვ.

ალ. შალუტაშვილი აღნიშნავს, რომ სპექტაკლში „შაითან ხიხო" დაშვებულია პრინციპული შეცდომა, მასში ზღაპრული ელემენტი შეცვლილია ისტორიული დრამების ელემენტებით. სპექტაკლში თანამედროვეობა იგრძნობა მარტო ტერმინებით: თანამგზავრი, კოსმონავტი, პარაშუტი და სხვა. რაც შეეხება სპექტაკლს „ბორის ძნელაძე" იგი უფრო პუბლიცისტურია. სახეები სწორხაზობრივად ვითარდებიან. სუსტია მისი მხატვრული გაფორმება.

რეჟისორი მ. ოლშანიცკაია დასძენს, რომ მას არ მოეწონა სპექტაკლ „ბორის ძნელაძის" მინისტრის კაბინეტის გაფორმება, რადგან იგი შინაარსს ვერ გამოხატავს. გარდა ამისა, — დასძენს ამხ. ოლშანიცკაია, — მე მინდა შევეხო სპექტაკლ „ქვეყნის სიკეთეს". მართალია სპექტაკლი ძირითადათ კარგია, მაგრამ მას მაინც აქვს ნაკლოვანებები. პირველი ეს გახლავთ ის, რომ ექსპოზიციაშივე იგრძნობა რაც უნდა მოხდეს ბოლოს. შემდეგ შვილი კვდება და ამ დროს მამა სხვას ლოცავს. ცხადია, ეს სიყალბეა!

სპექტაკლში „სასიძოს გაქცევა" ხაბუგა და ბადალაგა მეტად გაშარჟებული არიან — ამბობს სიტყვაში გამოსული მწერალი გაფეზი — ასევე მიამიტებად არიან წარმოდგენილნი კოკო და ლოკო. შემდეგ გაფეზი შეეხო კრიტიკის საკითხებს. მან აღნიშნა, რომ მეტად ცოტა იწერება ჯანსაღი კრიტიკული წერილები ჩვენს პრესაში. აქ ითქვა, რომ ოსურ სპექტაკლებზე უფრო მეტი მაყურებელი დადის ვიდრე ქართულ სპექტაკლებზეო. მე მახსოვს, რომ ერთ დროს პირიქით იყო — ქართულ სპექტაკლებზე დადიოდნენ თვით ოსებიც და ოსურ სპექტაკლებზე ორიოდე კაცი თუ იყო ხოლმე. საჭიროა ორივე კოლექტივს ხელი შევუწყოთ, ისინი შემოქმედებითად უნდა შეეჯიბრონ ერთმანეთს. თეატრში აუცილებლად საჭიროა სალიტერატურო ნაწილის გამგე.

პედაგოგმა ვ. კასრაძემ ქართული კოლექტივის შესახებ ილაპარაკა მან თქვა, რომ ამ დასის შევსებაა საჭირო. საამისოდ უნდა მოვიწვიოთ თეატრალური ინსტიტუტდამთავრებული ახალგაზრდები, ხოლო მომავლისათვის უნდა გამოცხადდეს კონკურსი, სადაც ნიჭიერი ახალგაზრდები შეირჩევიან და გაიგზავნებიან თეატრალურ ინსტიტუტში უმაღლესი განათლების მისაღებად იმ პირობით, რომ შემდეგ ისინი კვლავ ცხინვალში დაბრუნდებიან.

ნ. კევლიშვილი აღნიშნავს, რომ ერთი შეხედვით ცხინვალის თეატრის ორივე კოლექტივის რეპერტუარი, თითქმის სწორად არის შედგენილი, მაგრამ ნაკლებად არის წარმოდგენილი მოძმე ერების დრამატურგიის ნიმუშები. ნაკლოვანებად ჩაითვლება ისიც, რომ ამჟამად ქართული კოლექტივის რეპერტუარში არ არის ოსური პიესა და პირიქით — ოსურ კოლექტივის რეპერტუარში არაა ქართული პიესა. კევლიშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა ქართულ დასში ყურადღება მიექცეს სასცენო მეტყველების გაუმჯობესების საკითხს.

დასასრულ მაყურებელთა კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრმა ნ. შვანგირაძემ. მან ერთხელ კიდევ გაამახვილა ყურადღება ცხინვალის თეატრის ქართული კოლექტივის შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესების გზებზე. დასის დაკომპლექტებაზე და ორივე კოლექტივს შორის შემოქმედებითი შეჯიბრების გაძლიერებაზე.

დისპუტი—
თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრების გამო

11 აპრილს, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო თბილისისი მოზარდ-მაყურებელთა თეატრების სპექტაკლების განხილვა.

დისპუტი გახსნა დოდო ანთაძემ:

უკვე ტრადიციად იქცა, ის რომ ყოველწლიურად კულტურის სამინისტრო, თეატრალური საზოგადოება, საქართველოს ალკკ-ს თეატრალურ სექციასთან ერთად ვაწყობთ მიმდინარე სეზონის სპექტაკლების განხილვას. ამჯერად ჩვენ განვიხილავთ თბილისის მოზარდ-მაყურებელთა თეატრების მიმდინარე სეზონის შედეგებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღონისძიებაა რადგან ახლოვდება რამოდენიმე დიდმნიშვნელოვანი თარიღი: ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავი, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი და გენიალური პოეტის შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. ბუნებრივია, ჩვენ ძალიან გვაინტერესებს თუ რა ღონისძიებებს უძღვნიან რესპუბლიკის თეატრები ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს...

დოდო ანთაძე აღნიშნავს, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრები ემსახურებიან ახალგაზრდა თაობის ესთეტიკური აღზრდის პასუხსაგებ საქმეს. ისინი იღწვიან მომავალი საბჭოთა მოქალაქის სახის ჩამოყალიბებისათვის. ეს კი დიდი და პასუხსაგები საქმეა. ეს თეატრები აკეთებენ დიდ პატრიოტულსა და მოქალაქეობრივ საქმეს, მაგრამ ჩვენ გვაქვს ზოგიერთი პრეტენზია ამ თეატრების მიმართ, რომელთა შესახებაც მომხსენებლები და კამათში გამოსული ამხანაგები ილაპარაკებენ...

ქართული მოზარდ-მაყურებელთა თეატრების სპექტაკლების შესახებ მოხსენებას აკეთებს თეატრმცოდნე კოტე ნინიკაშვილი:

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის რეპერტუარი დღეს ასე გამოიყურება. მის აფიშაშია თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლები: „როცა მთავრდება ბავშვობა“ და „ოქროთი სავსე ქვეყანა“. რევოლუციური რომანტიკის თემაზე შექმნილი პიესა „ბორის ძნელაძე“ და ორი ზღაპარი, რომელნიც თანამედროვეობას ეხმაურებიან.

თეატრის რეპერტუარს შეემატა სულ ახლახანს განხორციელებული „ციხე სიმაგრის საიდუმლოება“. აგებული პატრიოტიზმის თემაზე. მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრის მიერ ამ სპექტაკლებში წამოჭრილი პრობლემები გვაფიქრებინებს, რომ თეატრი სწორ გზაზე დგას. ეს მით უფრო სასიხარულო და მისასალმებელია, რადგან რეპერტუარი თითქმის მთლიანად ეროვნულ დრამატურგიას ეყრდნობა, ქართველი ავტორების პიესებზეა შექმნილი.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, — ამბობს მომხსენებელი, — რომ პროფესიული დონე ამ თეატრში კიდევ უფრო გაზრდილა სპექტაკლებს ნათლად ეტყობათ გამოცდილი, დახვეწილი გემოვნებისა და კულტურის მქონე რეჟისორის, თეატრის ხელმძღვანელის სერგო ჭელიძის ხელი...

დღევანდელ ჩვენს მიზანს შეადგენს მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრის ბოლო დროის რეპერტუარის, მისი მხატვრული დონის, აქტიორული ნამუშევარის განხილვა. შევეცდებით ჩვენი საუბრის მეტი ნაწილი შენიშვნებს და ნაკლოვანი მხარეების განხილვას მიეძღვნას. ვფიქრობთ, ეს უფრო სასარგებლო იქნება თვით თეატრისათვის. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დადებითი დავჩრდილოთ, მაგრამ კეთილგანწყობით ნაკლის აღნიშვნას ნუ გავექცევით.

მომხსენებელმა აღნიშნა სპექტაკლების: „ბორის ძნელაძე“ (ავტორი გ. ნახუცრიშვილი, რეჟისორი ს. ჭელიძე), „როცა მთავრდება ბავშვობა“ (ავტორი ა. ჩხაიძე, დამდგმელი შ. გაწერელია), „კონკია“ (ავტორი ქ. ქუჩუკაშვილი, დამდგმელი თ. მაღალაშვილი), „ციხე-სიმაგრის საიდუმლოება“ (ავტორი ა. ნეგგო, დამდგმელი შ. გაწერელია).

მომხსენებელი დადებით შეფასებას აძლევს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლს „შაითან ხიხო“ (ავტორი გ. ნახუცრიშვილი, დამდგმელი ს. ჭელიძე) — აღნიშ-

ნავს მსახიობების ფ. სონღულაშვილის, გ. რევაზიშვილის, ბ. ჯაფარიძის, გ. დეისაძის, ვ. არეშიძის, ეთ. სიხარულიძის, რ. თავართქილაძის, ი. ტყავაძის, ნ. ცერცვაძის, ივ. ნინუას კარგ შესრულებას ცალკეულ სპექტაკლებში.

რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლების განხილვას მიუძღვნა თავისი სიტყვა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მერი ოლშანიცკაიამ.

1920 წელს საბჭოთა ქვეყანაში საზეიმო ვითარებაში იქნა დაფუძნებული თეატრი ბავშვებისათვის. გაიხსენეთ, რა მძიმე დღეები იყო ეს დღეები და მაინც, შეიქმნა თეატრი ბავშვებისათვის. ე. ი. ახლად დაბადებულ სახელმწიფოში ის იყო საჭირო, აუცილებელი, იგი იყო ყველაზე ძლიერი საშუალება ბავშვთა გრძნობათა აღზრდისათვის, მათი გონებრივად ჩამოყალიბებისათვის.

1920 წლიდან გავიდა ოთხ ათეულ წელზე მეტი და ამ თეატრის მთავარი ამოცანა — აღმზრდელობითი ამოცანა — კვლავ მთავარ ამოცანად რჩება.

როგორ უნდა წარიმართოს თეატრის მუშაობა, რომ მან შეასრულოს ეს მთავარი ამოცანა?

10.199

რასაკვირველია, უპირველესად კამათი წარმოიქმნება თეატრის რეპერტუარისა და პიესების მხატვრული განხორციელების ირგვლივ. თეატრის მუშაობაზე ორი პოზიციიდან უნდა ვიმსჯელოთ. რაში გამოიხატება ეს ორი პოზიცია? პირველი: რისი თქმა სურდა ავტორს თავის ნაწარმოებით და როგორ იქნა ეს ამოცანა თეატრის მიერ განხორციელებული.

მიუხედავად თანამედროვე ბავშვის განვითარებისა, იგი მაინც, უპირველეს ყოვლისა, ზღაპარს მოითხოვს და აი რუსული მოზარდ-მაყურებელთა თეატრის სცენაზე განხორციელდა უსტინოვის და ტაბაკოვის ზღაპარი — „თეთრთოვლა და შვიდი ჯუჯა“ — ზღაპარი ჭკვიანური, ჭკუის სასწავლებელი, რომელიც ყველა ასაკის ბავშვს შეიძლება ვაჩვენოთ.

შემდეგ მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა რუსული მოზარდ-მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებს — ფონვიზინის „უმწიფარას“, (დადგმა ნ. ეშბასი), რადძინსკის პიესას „104 გვერდი სიყვარულზე“ (დადგმა რ. შაფთოშვილისა), გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ (დადგმა ვ. ვოლგუსტისა), ი. ედლისი — „არგონავტებს“ (დადგმა შ. ქარუხნიშვილისა), ნ. დოლინინიას პიესას „ჩვენ და ისინი“ (დადგა რ. შაფთოშვილმა). ოლშანიცკაიამ ამ სპექტაკლების ირგვლივ ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა.

დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა: — საჭიროა ვიცოდეთ არა მხოლოდ ის თუ რა უნდა ვუთხრათ ბავშვებს, არამედ ისიც, თუ როგორ წარვმართოთ მისი აზროვნება, ემოციები სწორი მიმართულებით, რათა ბავშვმა დაისვენოს თეატრში და თან საკუთარ არსებაში აღიბეჭდოს სწორედ ის, რაც ჩვენ გვინდა მივცეთ მას. ჰატარებისათვის სიმყუდროვისა და სიხარულის განცდა თეატრში ძალიან ძვირფასია. შენობის უქონლობის გამო რუსულ მოზარდ-მაყურებელთა თეატრს არ შეუძლია ბოლომდე შეასრულოს თავისი ამოცანა. როგორადაც არ უნდა იყოს სპექტაკლი დადგმული და გაფორმებული, თუ კი თეატრს არა აქვს საკუთარი შენობა. მას არ შეუძლია წარმატებით გაართვას თავი თავის აღმზრდელობით მისიას.

დისპუტში მონაწილეობა მიიღეს მ. გიჟიმყრელმა (განიხილა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლი „მეთორმეტე ღამე“), საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ი. გამრეკელმა, თეატრმცოდნე ე. გალუსტოვამ (განიხილა მოზარდ-მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლები. „ჩვენ და ისინი“, „არგონავტები“ და „უმწიფარა“), თეატრმცოდნე ა. შალუტაშვილმა (განიხილა მოზარდ-მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლები: „მეთორმეტე ღამე“ და „როცა მთავრდება ბავშვობა“), თეატრმცოდნე ა. ტრაპაიძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე რუსული მოზარდ-მაყურებელთა თეატრის რეჟისორმა რ. შაფთოშვილმა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. გვინჩიძემ, ქართული მოზარდ-მაყურებელთა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ჭელიძემ.

დისპუტი შეაჯამა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, საქ. სსრ სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ.

ბ. ბასარიის სახ. საქ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

საგასტროლოდ ოდესაში

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა ოდესაში.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა. ჩვენ რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის თეატრი საქართველოს ფარგლებს გარეთ გადის და თავის საუკეთესო დადგმებს უჩვენებს რუს მაყურებელს. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სოხუმის ქართული თეატრი ბოლო წლებში შემოქმედებითად აღმავლობის გზაზე დადგა. თეატრის რეპერტუარი შედგება საინტერესო პიესებისაგან: აქ წარმოდგენილია ქართული კლასიკური და თანამედროვე დრამატურგია ამავე დროს მის აფიშაშია უცხოური პიესებიც. ყველაფერი ეს მოწმობს თეატრის კოლექტივის მრავალმხრივ შემოქმედებით შესაძლებლობას.

თეატრმა საგასტროლოდ შვიდი სპექტაკლი შეარჩია. ესენია: „მთაში ნათქვამი" (ალ. ყაზბეგის „ელეონორას" მიხედვით), დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი" (ვაჟას მიხედვით). ო. ჩხეიძის „ძველი რომანსები", „დაბურული ტყის ზღაპარი" (ვაჟას მოთხრობების ინსცენირება), იაროსლავ ჰაშეკის „გულადი ჯარისკაცი შვეიკი". სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე" და ედუარდო დე ფილიპოს „მოჩვენებანი".

გასტროლებამდე საქართველოს თეატრალური საზოგადოების კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა ნახეს და განიხილეს თეატრის საგასტროლო სპექტაკლები. ამ სპექტაკლებმა ცხადჰყვეს რომ რეჟისურა ეძებს ახალ. საინტერესო გზებს, იბრძვის მაღალმხატვრული რეალიზმისათვის. სამსახიობო ძალების ჭეშმარიტი პროფესიონალიზმისა და ანსამბლურობისათვის. ამ თეატრში მხატვარი დამდგმელის ღირსეული თანაავტორია.

მაყურებელი დიდის ინტერესით ადევნებს თვალყურს ამ თეატრის სხვადასხვა თაობათა ისეთი წარმომადგენლების შემოქმედებას როგორებიცაა თ. ჭავჭავაძე და ზ. გზირიშვილი, ნ. ლაფაჩი და ლ. ფილფანი, მ. ჩუბინიძე და ნ. ხურცილავა, თ. ბოლქვაძე და შ. გაბელია, ვ. ნინიძე და ვ. რატიანი. ე. ნეფარიძე და თ. ბაბლიძე და სხვ.

სამსახიობო კოლექტივისადმი ასეთი მთლიანი ინტერესი თეატრის მთავარი რეჟისორის ანზორ ქუთათელაძის დამსახურებაა. მისმა პროფესიულმა მომთხოვნელობამ და საქმისადმი დიდმა სიყვარულმა განაპირობეს სოხუმის თეატრის დღევანდელი შემოქმედებითი წინსვლა და ერთსულოვნება.

ანზორ ქუთათელაძემ სარეჟისორო წვრთნის კარგი სკოლა გაიარა: თეატრალური ინსტიტუტი. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. სოხუმის ქართული დრამატული თეატრი. ამ გზაზე მან გარკვეული რეჟისორული ხელწერა გამოიმუშავა. მის მიერ განხორციელებული სპექტაკლები მაყურებელს ხიბლავს სცენური სიმართლით. აქტიური განცდის დიდი სიწრფელით და განსახიერების ძალდაუტანებლობით.

ანზორ ქუთათელაძის საგასტროლო სპექტაკლების („მთაში ნათქვამი", „ძველი რომანსები", „ოიდიპოს მეფე", „მოჩვენებანი") უმთავრესი ემოციური ძალა ანსამბლურობაშია, მასობრივი სცენების დადგმის ოსტატობაში და. რაც მთავარია, ნაწარმოების უმთავრესი აზრის ნათლად. მკაფიოდ გადმოცემაში.

სოხუმის ქართული დრამატული თეატრის რეჟისურის ნამდვილი მშვენებაა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სანდრო მრევლიშვილი. რომლის ნამოღვაწარში ჯერ-ჯერობით ათიოდე სპექტაკლიც კი არ ჩამოითვლება. მან კი უკვე მოასწრო ავტორიტეტისა და სიყვარულის მოპოვება თეატრის კოლექტივსა და მაყურებელში.

სანდრო მრევლიშვილის სპექტაკლებმა („გულადი ჯარისკაცი შვეიკი" და „დაბურული ტყის ზღაპარი") ყველაზე მკაცრი თეატრალური კრიტიკოსების მოწონება დაიმსახურა.

ყურადსაღებია, რომ იაროსლავ ჰაშეკის საქვეყნოდ ცნობილი „გულადი ჯარისკაცი შვეიკი" სანდრო მრევლიშვილმა არა მარტო საინტერესო სპექტაკლად აქცია. არამედ თვითვე მოგვეველინა მისი ინსცენირების ავტორად! მან იმდენად კარგად მოარგო ეს პროზაული ნაწარმოები დრამატურგიის და სცენის აუცილებელ კანონებს რომ, როგორც ამას წინად

სოხუმში ჩამოსულმა ერთმა ცნობილმა ჩეხმა პროფესორმა, კრიტიკოსმა შენიშნა, იგი „შვეიკზე“ შექმნილ ყველა არსებულ პიესათა შორის უპირველეს ადგილზე დადგა.

აღნიშნული სპექტაკლი ღირსეულ სცენურ ნაწარმოებთა რიგში იმიტომაც ჩადგა, რომ მასში ახალგაზრდა ნიჭიერმა მსახიობმა, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა შოთა გაბელაიამ ბრწყინვალე შესაძლებლობანი გამოამჟღავნა ისეთ რთულ ჟანრში, როგორიც კომედიაა.

სანდრო მრევლიშვილის ინსცენირება ისეა აგებული, რომ იგი მსახიობებს მაქსიმალურ შესაძლებლობას აძლევს გარდასახვის უნარის გამოსამჟღავნებლად. რეჟისორმა ამით სპექტაკლს მეტად საინტერესო ჟღერადობა მისცა და თითოეული მსახიობი, იქნება იგი სახალხო (ვ. ნინიძე) თუ დამსახურებული (თ. ბოლქვაძე, ლ. ფილფანი, მ. გვალია, ი. ოქროპირიძე) ანდა ახალგაზრდა გ. რატიანი და გ. ხურცილავა, ქმნის ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ სამ-სამ ან ოთხზე მეტ სახეს.

მსახიობთა ამდაგვარი დატვირთვა სპექტაკლში ზრდის, აოსტატებს და ახალისებს როგორც თვით აქტიორულ ძალას ასევე მაყურებელს.

საგასტროლო რეპერტუარში ს. მრევლიშვილის მეორე ნამუშევარია „დაბურული ტყის ზღაპარი“, ვაჟა-ფშაველას მოთხრობების მიხედვით. მისი ინსცენირება გ. ხარაიძეს ეკუთვნის. წარმოდგენა განკუთვნილია მოზარდ-მაყურებლებისათვის, მაგრამ უფროსებმაც დიდი მოწონებით მიიღეს.

სპექტაკლში მოცემულია ცდა, მიგვინიშნოს ძველი ნიღბების საიმპროვიზაციო თეატრზე, კერძოდ კი უსამართლობის წინააღმდეგ მიმართულ ბერიკაობაზე. მაღალი აქტიორული პროფესიონალიზმითაა შექმნილი მრავალი სახე, რომელთაგან ძნელია გამოყო რომელიმე მათგანი. ყველა ასაკის მაყურებელში გულწრფელ მოწონებას იმსახურებს სპექტაკლის შესანიშნავი ანსამბლი, რომელსაც ქმნიან ლ. ფილფანი (არწივი), გ. ხურცილავა (შევარდენი), შ. გაბელაია (წრუწუნა), გ. რატიანი (ჩხიკვი ზაქარა), თ. ბაბლიძე (კაჭკაჭი) და სხვა ყველა დანარჩენი.

სპექტაკლები, რომლებიც სოხუმის ქართულმა თეატრმა ოდესაში წაიღო, რა თქმა უნდა არ შეიძლება ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ, როგორც ხარისხით ისე ხასიათით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ თეატრს აქვს თავისი გარკვეული სახე, თავისი მიმართულება.

სოხუმის თეატრს კარგი წარსული აქვს. იქ უმუშავნიათ ისეთ ცნობილ რეჟისორებს, როგორიცაა ვ. ყუშიტაშვილი, ს. ჭელიძე, გ. ჟურული და სხვა. მათ ბევრი შესანიშნავი სპექტაკლი შექმნეს და ბევრჯერაც ყოფილა ეს თეატრი საინტერესო. და როგორ სასიხარულოა, რომ დღეს კიდევ უფრო კარგად ჩანს მისი შემოქმედებითი პოტენცია, მხატვრული ღირსება.

სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაში (მხატვარი ე. კოტლიაროვი) იგრძნობა კულტურა, მაღალი გემოვნება და რაც მთავარია ნამდვილი თანაავტორობა.

გასტროლების წარმატებისათვის არანაკლებ იზრუნა თეატრის დირექციამ. მომზადებული იქნა შესანიშნავი ფოტო-რეკლამა. სპეციალური სარეკლამო ფერადი, ლამაზი აფიშები და სტენდები, რისთვისაც კოლექტივის მთელი ძალა და შესაძლებლობანი იქნა მობილიზებული.

16 ივნისს უკრაინის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის თეატრის შენობაში დაიწყო საგასტროლო სპექტაკლების ჩვენება.

სოხუმის ქართული თეატრის კოლექტივსა და ოდესის ფართო თეატრალურ საზოგადოებას შორის უკვე დამყარდა მჭიდრო და ნამდვილი მეგობრობა.

ქ. ოდესაში სოხუმის ქართული თეატრის გასტროლები ახალი ნაბიჯია ორ მოძმე რესპუბლიკას შორის. შესანიშნავი სტიმულია თეატრის შემდგომი მუშაობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო მოხსენებები:

შთაბეჭდილებები თბილისის თეატრების სპექტაკლებზე

6 მაისს თბილისის თეატრალურ საზოგადოებას ეწვია სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების კონსულტანტი იანინა ბრუნაკი. მისი მიზანი იყო, დრამატულ თეატრებში სცენური მოძრაობისა და პლასტიკის შესწავლა. ბრუნაკმა რესპუბლიკის თეატრების რამოდენიმე სპექტაკლი ინახულა.

თეატრალურმა საზოგადოებამ ხელოვნების მუშაკთა სახლში 14 მაისს ამ თემაზე გამართა საუბარი თეატრის მუშაკებისათვის. სხდომაზე მოწვეული იქნენ მსახიობები. დამდგმელი რეჟისორები და ქორეოგრაფები.

თათბირი გახსნა თეატრალური საზოგადოების შემოქმედებითი განყოფილების უფროსმა ნ. შვანგირაძემ.

თავის მოხსენებაში ი. ბრუნაკმა აღნიშნა, რომ ამჟამად რუსეთის თეატრალური ცხოვრების სინამდვილეში. მტკივნეულად წამოიჭრა სცენურ მოძრაობასთან და პლასტიკასთან დაკავშირებული საკითხები. ყურადღება გამახვილდა თეატრალურ შემოქმედების მხატვრულ დონეზე და პროფესიულ ოსტატობაზე. ამ მიმართულებით მრავალი თეატრის მუშაობის ყოველმხრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ ბოლო დროს საგრძნობლად დაქვეითდა პლასტიკური გამომსახველობა, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი სპექტაკლების გადაწყვეტის საერთო ფორმებში. წაიშალა ნიუანსები. ამჟამად ძნელია განვასხვავოთ შექსპირის. მოლიერის ან ჩეხოვის თეატრები. ბუნებრივად წამოიჭრა მწვავე პრობლემა: რით განსხვავდება სცენური მოძრაობა. ჩვეულებრივ. ყოფით. ყოველდღიურ მოძრაობისაგან.

ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევდა საქართველოს თეატრების დათვალიერება. ამ დათვალიერებამ ცხადყო ქართული თეატრალური ხელოვნების მაღალი კულტურა, განსაკუთრებით სცენური მოძრაობის და ჟესტის გამოყენების ოსტატობა.

გ. თორაძის ბალეტ „გორდა"-ს განხილვისას მან აღნიშნა. რომ ეს ბალეტი ქართული ქორეოგრაფიის საყოველთაოდ აღიარებული მიღწევაა. რომ მასში გაბნეულია საინტერესო ბალეტმეისტერული მიგნებანი და შთამბეჭდავი რეჟისორული ხერხები. რომ იგი ააღელვა უკანასკნელმა სცენამ — ქალების გლოვის ზარმა. ამ სურათს მხატვარიც ეხმარება. შავ ფონზე სასოებით ზეაპყრობილი შიშველი ხელები ქმნიან საინტერესო ხაზებს, ტალღისებურად რხევადი ჯგუფები დიდი სიძლიერით გამოხატავენ საერთო გოდებას; სცენა საინტერესოდ არის მოფიქრებული. როგორც ნაციონალურ. ისე ემოციურ პლანში.

ბრუნაკი განსაკუთრებულად შეჩერდა ჯავარას სახეზე. მე ეს სახე სხვაგვარად წარმომედგინაო. ჩემი გაგებით ქალი, რომელსაც გაგიჟებით უყვარს გორდა და მისგან უარყოფილი ისეთ ღრმა სასოწარკვეთას ეძლევა, რომ ტოვებს ამქვეყნიურ მშვენიერებას, ცხოვრებას ერიყება და მკითხაობას იწყებს. უკვე გულისხმობს სახის თავისებურებას. ქორეოგრაფიულ დუეტში ჯავარა კისერზე ჩამოეკიდება გორდას. ქალიშვილისაგან ასეთი ქცევა ძველი დროისათვის არ უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი. ეს შტრიხი კიდევ უფრო აღრმავებს ჯავარას უცნაურობას. აქედან გამომდინარე მისი პირველივე გამოსვლა სცენაზე უნდა იყოს აღბეჭდილი მკვეთრი ინდივიდუალობით, სინამდვილეში კი ჯავარას გამოსვლა მოკლებულია ეპოქის და სცენური სახის ნიშნებს.

მომდევნო სცენები: ჯავარას და გორდას დუეტი. ჯავარას სასოწარკვეთილება და სცენა მკითხავთან ბრწყინვალედ არის დახასიათებული ქორეოგრაფიულად.

ს. ცინცაძის ბალეტი „დემონი" (დაღგმა ვ. ჭაბუკიანისა) წარმოადგენს დიდ ქორეოგრაფიულ ტილოს. მაღალნიჭიერი ოსტატის მიერ შესრულებულს. ყოველ სურათში არის საინტერესო ქორეოგრაფიული სცენები. თვით დემონის ქორეოგრაფიაშიც ძალიან საინტერესო ადგილებია. მაგრამ ბალეტი არ არის გადაწყვეტილი შესაფერ ჟანრში, სჭარბობს მიწიერება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა დემონის და თამარის სიყვარულის დუეტებში. იმის გამო. რომ არ არის დაცული მეორე პლანი. ყალბად აღიქმება დემონის შემოს-

ვლა შუაგულ ხალხში. რაც შეეხება ვარსკვლავთა სამყაროს სურათს, ის სულ გამოთიშულია ბალეტის საერთო გადაწყვეტილებიდან.

მუსკომედიის თეატრს ბრუნაკი გაეცნო კომპ. ცაბაძის ოპერეტით „მიყვარს ჩემი ქუჩა“ (დადგმა შ. მესხის). მან დაახასიათა სპექტაკლი, როგორც რევიუ, სადაც ყოველი სურათი სანდომიანია და ჩახჩახა.

მომხსენებელმა რეჟისორს უსაყვედურა მაყურებელთან ურთიერთობის დამყარების ტრაფარეტული ხერხის გამოყენება, რომელიც ყოველთვის მიზანს ვერ აღწევს.

ოპერეტაში არის ყველა პირობა საბალეტო ნომრების გასანვითარებლად და ერთობ მიკვირს, რომ ამ სპექტაკლს ცეკვები არ ახლავს.

ი. ბრუნაკმა საინტერესო რეჟისორულ ნამუშევრად მიიჩნია გრიბოედოვის სახ. თეატრში განხორციელებული კორასტილოვის „დონ-კიხოტი აცხადებს ომს“ (რეჟ. მ. პიასეცკი). მოიწონა ორი პლანის გამოყენების პრინციპი. ერთ პლანზე რეალურად მოქმედი პირები, მეორე პლანზე კი გმიროა ოცნებანი, მოჩვენებანი, წინასწარ გრძნობანი.

კარგად აღიქმება — თქვა მან, — ცოცხალი მანეკენების გამოსვლა სპექტაკლის დასაწყისში და მეორე მოქმედებაში ბრბოს გამოსახატავად გამოყენებული მეშჩანები, ლოთი, შანსონეტები, ბოშა მომღერლები და სხვ. ჩემზე ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა დონ-კიხოტის შეხვედრამ სედოვთან.

მომხსენებელმა უსაყვედურა რეჟისორს, რომ ამ შემთხვევაში ხერხის მთლიანობა ბოლომდის ვერ დაიცვა. ხოლო თვით დონ-კიხოტი გამოუვიდა ყოფითი, ჩვეულებრივი.

მან კარგად დაახასიათა მსახიობი ნ. ბურმისტროვა, როგორც ემოციონალური და შესანიშნავი მეტყველების მქონე პროფესიონალი, ხოლო როლის პლასტიკური მხარე დაუწუნა სიარულის მანერაში. ცალკეულ მიხრა-მოხრა, ჟესტები. ასეთივე პრეტენზია წაუყენა სედოვის როლის შემსრულებელს კაზინეცს.

ჩემზე — თქვა ბრუნაკმა — შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლებმა: ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონმა“ და ა. სუმბათაშვილის „ღალატმა“ (რეჟ. გ. ლორთქიფანიძე).

მომხსენებელმა აღტაცებით ილაპარაკა სპექტაკლზე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, დაახასიათა იგი, როგორც ემოციონალურად ზემოქმედი და მხატვრული სიმართლით აღსავსე სპექტაკლი, სადაც ყველა კომპონენტი დახვეწილი და სრულყოფილია. განსაკუთრებით აღნიშნა მსახიობების შესანიშნავი ანსამბლის ნაციონალურ კოლორიტში გადაწყვეტილი ორგანული პლასტიკა. ამ მხრივ მთლიანად სპექტაკლი სამაგალითო ნიმუშად ჩათვალა, ხოლო ს. თაყაიშვილის ბებია — აქტიორული შემსრულებლობის ზენიტად.

მან უფრო დაწვრილებით იმსჯელა „ღალატზე“. თვალში მომხვდაო მხატვრის, რეჟისორის და მუსიკის ორგანული შერწყმა. შემდეგ დეტალურად აღწერა ზეინაბის და ოთარბეგის შესანიშნავად წარმართული დიალოგის ყველა პლასტიკური ნიუანსი, მსახიობებმა სცენის მთელი მოედანი გამოიყენეს ასპარეზად. ამ გარემოებას იმიტომ გამოვყოფ განსაკუთრებით, რომ დღევანდელი რუსეთის თეატრების დადგმებში მსახიობები ხშირად დიალოგის დროს ერთობ ახლოს მიდიან ერთმანეთთან, თითქოს სხვაგვარად ერთმანეთს ვერ გააგებინებენ თავიანთ აზრს. ასეთი მანერა აღარიბებს გამომსახველობის ძალას.

ჩვენი დიდი მსახიობების ხელოვნებაში ბრუნაკმა დაინახა ის, რაც ყველაზე დამახასიათებელია თეატრისათვის — მოქმედება.

სკულპტურულად გამოსახული პლასტიკური პანტომიმის ნიმუშად მიიჩნია მან ს. თაყაიშვილის ისახარი, რომლის თითქოს და, გარეგნული პასიურობის მიღმა ემოციურად დატვირთული ქმედითი არსი ჩანს, მასში ზეინაბის გრძნობათა ღელვის ანარეკლი მოჩანს.

განსაკუთრებით მოიწონა ზოგიერთი სცენის პლასტიკური გადაწყვეტა. მაგ., წინა პლანზე სოლეიმან-ხანი და რუქაია, ხოლო სიღრმეში ზეინაბის და ისახარის მდუმარე სილუეტები თბილ ლაქად აღიბეჭდება მთელს სურათზე. ან კიდევ, სპექტაკლის დასაწყისში სცენის ორივე მხარეს ძალუმად ჩამომდგარი მცველების ორი წყება დინამიურ სიმძაფრეს ანიჭებს სცენას.

„მე ყველაფერი მესმოდა თარგმნის გარეშე“ — ამბობს ბრუნაკი — ამაში ვხედავ გამართლებული სცენური მოძრაობის ჭეშმარიტ მიღწევას.

მომხსენებელმა ბევრი ილაპარაკა ვ. ანჯაფარიძის მსახიობურ ოსტატობაზე, აღნიშნა, რომ ზეინაბი სპექტაკლის ცენტრშია, ხაზი გაუსვა მის მგრძნობიარე ხელებს, მისი თქმით

ზეინაბის ხელები ხან ნაღვლობენ, ხან სიძულვილით ივსებიან და ხან მეფურ სისასტიკეს ამჟღავნებენ.

დიდი შთაბეჭდილება დატოვა ა. ხორავას კეთილშობილმა მანერამ და სცენური მოქმედების ოსტატობამ. ვ. გოძიაშვილის ბესომ, როგორც მძაფრმა სახასიათო პერსონაჟმა, ა. ომიაძის გულმართალმა ანანიამ.

მომხსენებელმა უკმაყოფილება გამოთქვა რუქაიას და გაიანეს შემსრულებელთა მიმართ. „პირველად მაშინ დამჭირდა თარგმანი, როდესაც ახალგაზრდა მხევალი ქალი სოლეიმანის ფერხთით ჩამოჯდა, რას ჩივის“ — ვიკითხე მე და ძალიან გამიკვირდა, როდესაც გავიგე, რომ თურმე რუქაია ზღაპარს უამბობს სოლეიმან-ხანს... რაოდენ დიდი ფანტაზიის გაქანება შეიძლებოდა ამ სცენის გათამაშების დროს.

არ მომეწონა არც რუქაიას და ერეკლეს შეხვედრის მიზანსცენა; მსახიობს — რუქაიას როლში მრავალი შესაძლებლობა ეძლევა სცენური მოძრაობის მრავალმხრივი პარტიტურის შექმნით დაეძლია სტატიურობა და გამომსახველი საშუალებათა სიღარიბე“.

ი. ბრუნაკმა უარჰყო გაიანეს როლის ასეთი გაგება; მისი აზრით იმდროინდელ ქალიშვილს მეტი გარეგნული თავდაჭერა უნდა ჰქონოდა. „სიმკვირცხლის“ თამაში აშკარად ეტყობოდა მის სცენურ ქცევას. ხელების ჟესტიკულაცია დღევანდელ თანამედროვე ქალიშვილს უფრო შეესაბამებოდა. გაიანეს პროტესტი მრისხანე მამის გადაწყვეტილების გამო უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, მის ქცევაში მეტი სინატიფე და კდემამოსილება რომ ყოფილიყო.

და ბოლოს „უკანასკნელი მასკარადი“ რუსთაველის სახ. თეატრში (პიესა ნ. აზიანისა, დადგმა გ. ჟორდანიასი). მომხსენებელს ძალიან მოეწონა სპექტაკლის გადაწყვეტის ხერხები: კარუსელი — რომელიც ხსნის მოქმედებას. წარმატებით ნაპოვნი სატირული, პაროდიული პლასტიკა, როგორც მიზანსცენებში ისე მსახიობთა თამაშში, ჩარეული რუსული სიტყვები და ფრაზები — რევოლუციამდელი ქართველი ბურჟუაზიული საზოგადოების დამახასიათებელი ჩვევა. კარგად შერჩეული მუსიკალური ნომრები, რომლებიც მკვეთრად ახასიათებენ არა მარტო მოქმედების დროს, არამედ სპექტაკლის ჟანრსაც.

ბრუნაკმა აქაც აღნიშნა, რომ რეჟისორის მიერ კარგად ნაპოვნი ხერხი, ბოლომდის არის შენარჩუნებული.

პირველ სცენებში თავადის ქალიშვილი და ოჯახში აღზრდილი ყმაწვილი თამაშობენ „შეყვარებულებს“ ისე, რომ მაყურებელი სწორედ იგებს მასკარადულობას, შემდეგ კი ეს ნიუანსი იკარგება — ყმაწვილი ნამდვილ მინისტრს თამაშობს, ქალიშვილი კი მოკრძალებული ხდება.

დასასრულ ბრუნაკი აღნიშნავს, რომ ამ მცირერიცხოვანი სპექტაკლების ნახვითაც კი, ღრმად დარწმუნდა რომ ქართული თეატრალური ხელოვნების საერთო კულტურა მაღალ დონეზე დგას, მრავალფეროვანია, მან გამოთქვა სურვილი რომ რუსეთის ფედერაციის თეატრებმა ბევრი რამ მიიღონ ქართული თეატრების მონაპოვარიდან.

თბილისის თეატრების ახალგაზრდობის შემოქმედებითი სახე

1966 წლის 20 ივნისს საქართველოს თეატრალური საზოგადოების კრიტიკის სექციამ ჩაატარა ღია სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა თეატრმცოდნე ანზორ ტრაპაიძის მოხსენება: „თბილისის თეატრების ახალგაზრდობის შემოქმედებითი სახე“.

მომხსენებელმა ფართე ანალიზი გაუკეთა იმ სპექტაკლების დრამატურგიას, რეჟისორულ და აქტიორულ ხელოვნებას, თეატრალურ მხატვრობასა და მუსიკალურ გაფორმებებს, რომლებშიც ქართული თეატრის ახალი თაობის ყოველდღიური სუნთქვა იგრძნობა.

დღევანდელ ქაროულ თეატრში არსებულ სიძნელეებისა და გაუგებრობის ერთ-ერთ მიზეზად მომხსენებელი თანამედროვე თეატრალური კრიტიკის დაბალ პერიფერიულ დონეში ხედავს, ჩვენმა თეატრალურმა კრიტიკამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო განთავისუფლებულიყო ვიწრო სუბიექტური თვალთახედვისაგან და პრობლემატურ საკითხებზე პრობლემატური სტატიებით მსჯელობა.

— არ შეიძლება თეატრის ხვალინდელ დღეზე მსჯელობა თუ დღეს ყველაფერს მაქსიმალურად არ ვაკეთებთ — აღნიშნავს მომხსენებელი და კონკრეტულად ეხება იმ ნაწარმოებებს, დრამატურგებს, რომლებიც ახალგაზრდობის ასე რთულ ცხოვრებაზე წერენ.

ნოდარ დუმბაძემ ლიტერატურასა და თეატრში ახალი პოეტური სუნთქვა შემოიტანა. მისი ახალგაზრდები ზურიკელა და მერი, სოსოია და ხატია, სისხლითა და ხორცით ჩვენი თანამედროვენი არიან, აქვთ ძალიან დიდი, სუფთა სულიერი სამყარო, იციან რისთვის დაიბადნენ, რისთვის უნდა იცოცხლონ, როგორ უნდა იცხოვრონ და ამიტომაც ასე გულწრფელად გჯერა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ და „მე ვხედავ მზეს“-ი. ხოლო თემო და გულიკო „მზიანი ღამიდან“ რომანის (განსაკუთრებით პიესის) მრავალთემიანობას გარკვეულად შეეწირნენ და სხვა ახალგაზრდებთან ერთად რამდენადმე გაფერმკრთალდნენ.

გ. ხუხაშვილის „ზღვის შვილები“ და განსაკუთრებით „ცხოვრება კაცისა“ უთუოდ ყურადღებას იქცევს ახალგაზრდობის წინაშე მდგარი საკითხების ფილოსოფიურ ზოგადობაში გადაყვანის მხრივ, პოეტურობით, პიესებში წამოჭრილ პასუხის გაცემის სურვილით, რასაც სამწუხაროდ, მოკლებულია მისავე „მთაწმინდის მთვარე“.

საკმაოდ დიდია იმ დრამატურგების რიცხვი, რომლებიც დღევანდელ ქართულ თეატრს ახალგაზრდობაზე პიესებს უქმნიან, მაგრამ მათში უფრო მეტად საგრძნობია ხასიათების ცალმხრივად დანახვის დემონსტრაცია ან კიდევ აზროვნების უმოქმედობაა.

მეოცე საუკუნეს თვით რეჟისორები ატომის, კიბერნეტიკისა და რეჟისორის საუკუნეს უწოდებენ და ამის ყველაზე დიდი პრეტენზია სწორედ ახალგაზრდა რეჟისორებს გააჩნიათ. ნუ ვიკამათებთ ამ აზრის სისწორეზე, მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნოთ, ისინი დროის ზეგავლენას სცენის ტექნიკური ეფექტებით ავსებაში ხედავენ და დღითი-დღე გაურბიან თანამედროვე თეატრის მთავარ კომპონენტს — მსახიობს. ისინი ფიქრობენ ყველაფერზე — გარდა ცოცხალი ადამიანისა, ფიქრობენ მრავალხაზოვან ფორმაზე, ზოგჯერ ბრწყინვალე პიესას უმორჩილებენ საკუთარ — არაფრისმთქმელ გამონაგონს, ამჟღავნებენ ავტორისეული აზრის უკუღმა წაკითხვის გასაოცარ უნარს. ყველაფერი ეს ანტი-ესთეტიურია, ვინაიდან ანტითეატრალურია. ეს მითუმეტეს საწყენია, რადგან დღევანდელი ახალგაზრდა ქართული რეჟისურა საკმაოდ ნიჭიერ შემოქმედთა მთელი არმიაა.

მომხსენებელს თავისი თეორიული მოსაზრებების განსამტკიცებლად მოჰყავს კონკრეტული მაგალითები რეჟისორების: ლ. მირცხულავას, გ. ჟორდანიას, რ. სტურუას, ნ. ხატისკაცის, თ. მაღალაშვილის, კ. სურმავას, ნ. ეშბას, მ. კუჭუხიძის, ა. ნინუას, ე. ეგაძის და სხვათა უკანასკნელი ნამუშევრებიდან.

შემდეგ ა. ტრაპაიძე დაწვრილებით მიმოიხილავს ახალგაზრდა მსახიობთა მიერ შექმნილ მთელ რიგ როლებს, იმ მიღწევებსა და ნაკლოვანებებს, რომელთა მიღმა დღევანდელი ქართული თეატრის ნიჭიერი აქტიორული ძალები დგას. მათ ჯერ კიდევ არ გამოუვლე-

ნიათ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი. მრავალ შემთხვევაში თვით მსახიობები არიან დამნაშავენი, მაგრამ მეორეცაა: აქვთ თუ არა მათ დღევანდელ ქართულ თეატრში შექმნილი ყველა პირობა?

მომხსენებელი ერთის მხრივ აღნიშნავს ახალგაზრდა თეატრალური მხატვრების მაღალნიჭიერებას (მ. მალაზონია, ნ. იგნატოვი, მ. მურვანიძე. ქოჩაკიძე. სლოვინსკი, ჩიკვაიძე. კ. გუნია), მაგრამ მეორეს მხრივ აღნიშნავს მათი გაფორმების სპექტაკლის მიზნიდან ამოვარდნის ცალკეულ შემთხვევებს. მათ თითქოს სურთ დეკორატიული გაფორმება დამოუკიდებელ კომპონენტად აქციონ სპექტაკლში.

ე. წ. „მუსიკალურ გაფორმებებს" არა პროფესიონალთა (არა კომპოზიტორთა) მიერ, რომლებიც ხელოსნობის ზეიმად ქცეულა, ამ ბოლო დროს ჯაზის მომაბეზრებელი ენაც მიემატა. ყველაფერ ამით ვეხმარებით თუ ხელს ვუშლით მსახიობსა და მაყურებელს?

დღეს — ისე, როგორც არასდროს ჩვენი თეატრი ყოველ მოვლენას ფილოსოფიურად, ზოგადად უნდა იაზრებდეს (მაგრამ იგი დამუხტული უნდა იყოს უმძაფრესი ემოციურობით). მან ცოცხალ. ურთულეს ადამიანზე ცოცხალი ადამიანით უნდა იაზროვნოს. მაშინ შეიძლება ხვალინდელ თეატრზე ლაპარაკი.

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუზეუმის გამგემ ნ. არველაძემ. რეჟისორმა მ. ოლშანიცკაიამ. თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო შემოქმედებითი განყოფილების გამგემ ნ. შვანგირაძემ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის მდივანმა დ. ჩხეიძემ.

შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი რესპუბლიკის გარეთ

ერევნისა და თბილისის თეატრალური ინსტიტუტების შემოქმედებითი მეგობრობა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში დაიწყო. ჩვენი ინსტიტუტის სცენაზე. ერევნის ხელოვნების ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტებმა წარმოადგინეს ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი". ამ დღეს დიდი ზეიმი იყო თეატრალურ ინსტიტუტში. შეხვედრაზე მოვიდნენ პიესის ავტორები და ბებიას როლის შემსრულებელი სსრკ სახალხო არტისტი ს. თაყაიშვილი. სპექტაკლის დაწყების წინ სტუმრებს მიესალმა სსრკ სახალხო არტისტი, თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი აკაკი ხორავა. საპასუხო სიტყვით გამოვიდა სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი. სპექტაკლმა დიდი ინტერესი გამოიწვია. დასასრულს მოეწყო სპექტაკლების განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ნ. დუმბაძემ. გ. ლორთქიფანიძემ. ს. თაყაიშვილმა, ე. გუგუშვილმა. ერევნის და თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა.

1966 წლის 18 მარტს კი თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები ეწვივნენ ერევნელ მეგობრებს. ქართველმა სტუდენტებმა ერევნის ხელოვნების ინსტიტუტის სცენაზე წარმოადგინეს ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი" (დადგმა ხელოვნების დამსახ. მოღვაწის იური კაკულიასი). სპექტაკლის შემდეგ მოეწყო სპექტაკლის განხილვა.

18—25 აპრილს მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო სცენაზე ჩატარდა ჩვენი ქვეყნის თეატრალური ინსტიტუტების სტუდენტთა ნამუშევრების დათვალიერება.

დათვალიერებაში თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურმა ინსტიტუტმაც მიიღო მონაწილეობა.

სარეჟისორო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა გოგი ქავთარაძემ (ხელმძღვანელი რესპუბლიკის სახალხო არტისტი მიხეილ თუმანიშვილი) თავის საკურსო სპექტაკლად აირჩია ვაჟა ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი", რომელიც გ. კვარაცხელიასთან ერთად თვითვე გაესცენიურა. დადგმის მხატვრული გაფორმებისათვის მოწვეული იქნა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი შ. სამხარაძე. თბილისში წარმოდგენამ მაღალი შეფასება დაიმსახურა და წარდგენილი იქნა მოსკოვში, საკავშირო თეატრალური ინსტიტუტების დათვალიერებებში მონაწილეობის მისაღებად.

დათვალიერებაში მონაწილეობდნენ: ლენინგრადის, ხარკოვის, ერევნის. ალმა-ატის, მოსკოვისა და თბილისის თეატრალური ინსტიტუტები.

ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სასწავლო სცენაზე 18—25 აპრილამდე მიმავალმა მსახიობებმა აჩვენეს 7 დადგმა. რომელთაც დედაქალაქის თეატრალურ საზოგადოებრიობის ინტერესი გამოიწვიეს. წარმოდგენებს ესწრებოდნენ გამოჩენილი რეჟისორები. მსახიობები, კრიტიკოსები.

23 აპრილს ქართველმა სტუდენტებმა თავისი ნამუშევარი წარმოადგინეს. მთავარ როლებს ასრულებდნენ თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტები: ნ. ჯავახიშვილი. მ. გუტია. ნ. დოხტურიშვილი, თ. გამყრელიძე. ბ. თანდილაშვილი, ა. ალავიძე. თ. ორაგველიძე და სხვები. წარმოდგენა დიდი წარმატებით ჩატარდა. ვაჟას უკვდავმა ნაწარმოებმა საერთო მოწონება დაიმსახურა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დისპუტი.

პროფესორმა ი. ანისიმოვამ თქვა: ეს ნამდვილად სერიოზული ნამუშევარია. ნაპოვნია ინსცენირებული პოემის საინტერესო ფორმა. მართალია. ჩვენ არ გვესმის ენის მთელი მშვენიერება, მაგრამ ვგრძნობთ როგორც რეჟისორის. ისე მსახიობთა აზრს, ვფიქრობ. კარგად არის მიგნებული ქოროს ფორმა. ამავე დროს ეს არ გამოიყურება როგორც ანტიკური ქოროს გამეორება.

რსფსრ სახალხო არტისტმა პროფ. მ. კნებელმა აღნიშნა: მინდა მხოლოდ ის ვთქვა. რომ ეს არის შესანიშნავი წარმოდგენა. ვულოცავ

ქართველ თეატრალურ საზოგადოებრიობას. საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტს, რომ მათ ასეთი მშვენიერი თაობა ჰყავთ. მათ შესძლეს ჩვენთვის ეჩვენებინათ თავიანთი სამშობლოს მშვენიერება, სიკეთით, სიბრძნით, ემოციით სავსე ადამიანები.

პროფესორმა გ. გოიანმა სთქვა: ეს ნამუშევარი დასაფასებელია იმითაც, რომ ინსცენირებულია თვით რეჟისორის მიერ. ნაწარმოების გადატანა პროზის ან პოეზიის ენიდან სცენაზე ძალზე რთული საქმეა და ყოველთვის როდი იძლევა კარგ შედეგს. ამჯერად კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეჟისორმა ბრწყინვალე შედეგს მიაღწია.

შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის გამოსვლა საკავშირო დათვალიერებაში დიდი წარმატებით დაგვირგვინდა. ეს მომავალი მსახიობებისათვის კარგი გამოცდაც არის და თავისებური პატარა წვლილიც ქართული თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში.

შემოქმედებითი საღამოები

ს. კალანდარაშვილის დაბადების 50 წლისთავი

1966 წლის 2 აპრილს, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრმა შემოქმედებითი საღამო მოუწყო რესპ. დამს. არტისტს ს. კალანდარიშვილს.

ს. კალანდარაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ვ. კიკნაძე.

ს. კალანდარაშვილი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. მაგრამ სცენის სიყვარულმა დასძლია და მარჯანიშვილის თეატრთან არსებულ სასწავლებელში შევიდა (ვ. ყუშიტაშვილის ჯგუფში).

1938 წელს ამ სტუდიაში ძმები ტურისა და შეინინის პიესაში „პირისპირ“ დარცეკის როლის წარმატებით შესრულების შემდეგ ახალგაზრდა მსახიობმა სოხუმის ქართულ დასში დაიწყო მუშაობა. შემდეგ 15 წლის მანძილზე გორის თეატრში მოღვაწეობდა.

ს. კალანდარაშვილს უმთავრესად გმირულ-რომანტიკული როლები იზიდავდა. მაყურებელს დაამახსოვრდა მისი არსენა, გიორგი საკაძე. ოიდიპოსი, აბდულ-შაჰილი, გაიუს გრაკხი. სოლომონ მეფე და სხვა.

ს. კალანდარაშვილმა თავი გამოიჩინა. როგორც ენერგიულმა ორგანიზატორმა. 15 წელიწადზე მეტია რაც იგი ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორია, ხოლო 1959 წლიდან — მისი სამხატვრო ხელმძღვანელიც.

ს. კალანდარაშვილს ეკუთვნის რეჟისორული ნამუშევრები: ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“, ი. ვაკელის „შამილი“ და „შური“, ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, რ. ქორქიას „ნიკო ნიკოლაძე“, გ. ქელბაქიანის „ხმა გულისა“, ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“.

არ დარჩენილა მნიშვნელოვანი ქართული პიესა, რომელიც მას უყურადღებოდ დაეტოვებინოს. იგი ხელს უწყობს და ავლენს ადგილობრივ დრამატურგებსაც.

ს. კალანდარაშვილს 1961 წელს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. მისი პიესა „ადამიანის ღირსება“ წარმატებით დაიდგა და კარგახანს შერჩა სცენას.

შემოქმედებით საღამოზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: სსრკ სახ. არტისტი ვ. გოძიაშვილი, რესპ. სახ. არტისტები: ემ. აფხაიძე. გ. საღარაძე. თელავის თეატრის მთავარი რეჟისორი ნ. დეისაძე. ზუგდიდის თეატრის დირექტორი ა. ეგუტია და სხვები.

დ. ტაბიძის შემოქმედებითი საღამო

1966 წლის 28 მაისს სამტრედიის სახალხო თეატრის შენობაში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა მოაწყო სამტრედიის სახალხო თეატრის მსახიობის დავით ტაბიძის შემოქმედებითი საღამო.

საღამო გახსნა რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ფ. გოგავამ.

დ. ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა დრამატურგმა აკაკი დევიძემ.

დ. ტაბიძე 1934 წელს პედაგოგიურ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ოჩხანურის საშუალო სკოლაში, სადაც აქტიურად იწყებს სასცენო მოღვაწეობასაც. ოჩხანურის საბჭოთა მეურნეობასთან აყალიბებს სცენისმოყვარეთა ქართულ და რუსულ კოლექტივებს.

1936 წლიდან დ. ტაბიძეს მსახიობად იწვევენ სამტრედიის სახელმწიფო თეატრში. აქ მან ნამდვილი პროფესიული წრთობა მიიღო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლავრენტი ციცაგის მეშვეობით. ბევრი რამ ისწავლა აგრეთვე რეჟისორებთან გიორგი გორდაძესთან და დავით სტურუასთან მუშაობით.

საინტერესო სახეები შექმნა დ. ტაბიძემ ს. შანშიაშვილის „არსენაში“ (პაპა ონისე), პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებაში“

(ჯიბილო), ა. ცაგარლის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ (დავითი), ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობაში“ (კახიანი), ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“ (დუდუკინი) და სხვა.

1947 წლიდან დავით ტაბიძე სამტრედიის სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. მისი ენერგიული მუშაობით ამ კოლექტივმა საერთო მოწონება და აღიარება მოიპოვა და მას 1950 წელს სახალხო თეატრის საპატიო წოდება მიენიჭა.

შემოქმედებით საღამოზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი ლ. ციცაგი, ადგილობრივი გაზეთის რედაქტორი ვ. ჯალაღანია, სამტრედიის სახალხო თეატრის დირექტორი ვ. ჩიგოგიძე, თეატრის მსახიობი ტ. ხაჟალია და სხვა.

დასასრულს, დავით ტაბიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა სცენები სამტრედიის სახალხო თეატრის სპექტაკლებიდან: ა. სამსონიას „ჩემი შვილი სიმონი“, ი. ვაკელის „შური“, ფოსის „კატორღელი 37“.

გ. მოდებაძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავი

6 ივნისს, აკ. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და აკ. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა მოაწყეს მსახიობ გივი მოდებაძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. მიროტაძემ. მსახიობ გ. მოდებაძის შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა ს. ცომაიამ. მსახიობს მიესალმნენ ქალაქის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელთა სახელით — მ. ჩახუნაშვილი, კალინინის სახელობის მაღაროს მუშათა სახელით — მ. ღუღუნიშვილი, საჩხერის კულტურის სახლის მუშაკთა სახელით — ც. ჩაჩანიძე, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივის სახელით — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. მეგრელიშვილი. მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის სახელით — პ. აბაშიძე, საქართველოს კულტურის სამინისტროს და თეატრალური საზოგადოების საპატიო სიგელი მსახიობ გ. მოდებაძეს გადასცა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. თუშიშვილმა.

მსახიობს გულთბილი მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ო. ალექსიშვილმა, თეატრის დირექტორმა ბ. კავთელაძემ, მსახიობისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა თ. გურჯიძემ, ხოლო კომპოზიტორ გ. თხელიძის მუსიკალური ნომერი შეასრულეს თეატრის მსახიობებმა ო. ზაზაშვილმა და ლ. ხვედელიძემ. გ. მოდებაძემ გულწრფელი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

დასასრულს გ. მოდებაძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა ნაწყვეტები პიესებიდან.

მეგობართა ხსოვნას

გიორგი შავგულიძე

11 აპრილს კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა და საქართველოს კინემატოგრაფიის კავშირმა მოაწყო გამოჩენილი ქართველი მსახიობის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის გიორგი შავგულიძის ხსოვნის საღამო.

საღამო გახსნა კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გ. ლორთქიფანიძემ.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა ვერიკო ანჯაფარიძემ: ვერსად ვერ ამოიკითხავთ იმ დიდი სიყვარულის ამბავს, რითაც მთელი ცხოვრების მანძილზე იყო გიორგი შავგულიძე გარემოსილი. მხოლოდ მათ, ვისაც იგი უნახავთ სცენაზე, ვინც ახლოს იცნობდა მას ცხოვრებაში, შეუძლიათ გვიამბონ ამ განსაცვიფრებელი სიყვარულის ისტორია.

იგი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, მის ნიჭზე და მსახიობურ ინტუიციაზე სხვადასხვა აზრი არ არსებობს, დიდი და პატარა ყველა ერთნაირად იყო მოჯადოვებული, მისი განუმეორებელი სცენური სახეებით. გიორგი შავგულიძისადმი დიდი სიყვარული კიდევ ერთხელ გამოჩნდა იმ დიდ მწუხარების ჟამს, როცა ხმა დაირხა მისი ტრაგიკული დაღუპვის შესახებ. მთელი ქართველი ხალხი, მთელი საქართველო ღრმა მწუხარებამ მოიცვა და ეს მწუხარება გამოჩნდა იმ ზღვა ცრემლებში, რომლითაც მოირწყო მისი საფლავი...

მსახიობი ტარიელ საყვარელიძე კითხულობს გიორგი შავგულიძისადმი მიძღვნილ პიერ კობახიძის ლექსს.

მოგონებით გამოვიდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დოდო ანთაძე: მე მოწმე ვარ გიორგი შავგულიძის პირველი ნაბიჯების და მისი პირველი გამოსვლებისა თეატრში. თეატრალურ წრეებში ბევრს ლაპარაკობენ თეატრში შავგულიძის პირველი მოსვლის გამო. ერთი რამ ნათელია: გიორგი შავგულიძე მოვიდა დამხმარე დასში, მოვიდა მორიდებულად, მაგრამ მარჯანიშვილის გამჭრიახ თვალს, მის განსაცვიფრებელ ინტუიციას, არ გამოპარვია მისი ნიჭის თავისებურება. საკმარისი იყო კ. მარჯანიშვილს მოესმინა გიორგი შავგულიძის მიერ წარმოთქმული მხოლოდ ერთი ფრაზა სპექტაკლში „ლიანდაგი გუგუნებს", — რომ მას უმალვე ეგრძნო გიორგი შავგულიძის დიდი ნიჭი. პირველად როცა შავგულიძე, ბუნებრივია, ღელავდა და ფრაზა შეეშალა, მსახიობთა შორის სცენაზე სიცილი გაისმა, ამაზე სასტიკად განრისხდა მარჯანიშვილი; რა გაცინებთ, თქვენ ნახავთ ეს ბარტყი როგორ გაშლის ფრთებს და არწივად მოქვლინება თეატრსო. გამართლდა მისი სიტყვები — კ. მარჯანიშვილმა მალე მას უშანგი ჩხეიძის დუბლიორობა მიანდო.

ამ მცირე მოგონების შემდეგ პოეტმა ოთარ მამფორიამ წაიკითხა შავგულიძისადმი მიძღვნილი ლექსი. ამას მოჰყვა მედეა ჯაფარიძისა და დოდო ჭიჭინაძის მოგონებანი.

ქართულ კინოხელოვნებაში გიორგი შავგულიძის მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა კარლო გოგოძემ. ამ დროს დარბაზი დაბნელდა და სცენის სიღრმეში დაკიდებულ ეკრანზე თანმიმდევრობით გამოჩნდა ნაწყვეტი კადრები იმ კინოსურათებისა, რომლებშიც გ. შავგულიძეს მიუღია მონაწილეობა.

გ. ლორთქიფანიძემ წაიკითხა ლადო გუდიაშვილის დეპეშის ტექსტი. ჩვენი მხატვარი შეუძლოთ გახლდათ და იმ საღამოს ვერ დაესწრო.

განათდა დარბაზი და სცენა. მსახიობებმა თამარ თეთრაძემ და ნათელა მიქელაძემ მსახიობისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს.

დიდი მსახიობის შემოქმედების ცალკეულ ეპიზოდებს იგონებენ დიმიტრი ჯანელიძე და გიორგი ციციშვილი.

მსახიობი გიზო სიხარულიძე კითხულობს დავით გურამიშვილის ლექსს, „ვაი, რა ბოძი წაგვექცა", რომელსაც გიორგი შავგულიძე, დიდი პოეტური გზნებით და შთაგონებით კითხულობდა ფილმში — „დავით გურამიშვილი".

გიორგი შავგულიძის შემოქმედებით მწვერვალს წარმოადგენდა ხარიტონის როლი პ. კაკაბაძის პიესაში „კოლმეურნის ქორწინება“.

მსახიობის მიერ შექმნილ ამ მაღალმხატვრულ სცენურ სახეზე და მის საშემსრულებლო ხერხებზე ილაპარაკა ნოდარ გურაბანიძემ. და კვლავ ეკრანზე გამოჩნდა ხარიტონი-შავგულიძის ცალკეული ეპიზოდები... გაისმა შავგულიძის ხმა... ასე დასრულდა ამ დიდი მსახიობის ხსოვნისადმი მიძღვნილი ეს საღამო.

თეატრის ფოიეში მოწყობილი იყო მსახიობის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა.

გრიგორ გრიგორაშვილი

ა. წ. 31 მაისს, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის საოპერო თეატრმა და ხელოვნების მუშაკთა სახლმა მოაწყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის გრიგორ გრიგორაშვილის ხსოვნის საღამო.

საღამო გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დოდო ანთაძემ. მოხსენება „გრ. გრიგორაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ — წაიკითხა მუსიკისმცოდნე ანტონ წულუკიძემ.

მომხსენებელმა ილაპარაკა მომღერლის განვლილ შემოქმედებით გზაზე. გრ. გრიგორაშვილი 1935 წელს ჩაირიცხა ა. წუწუნავას მიერ დაარსებულ საოპერო სტუდიაში. ამ სტუდიაშივე პირველად იმღერა დონ ბაზილიოს პარტია როსინის — „სევილიელ დალაქში“. ამის შემდეგ იგი ჩაირიცხა ოპერის თეატრში და წლების მანძილზე მღეროდა ბანის წამყვან პარტიებს. მის რეპერტუარში იყო აბიო — ზ. ფალიაშვილის — „აბესალომ და ეთერში“, მეფისტოფელი შ. ჰუნოს — „ფაუსტში“, გიორგი მეფე მ. ბალანჩივაძის — „დარეჯან ცბიერში“, დონ ბაზილიო როსინის — „სევილიელ დალაქში“, ძეწისქვილე ა. დარგომიჟსკის — „ალში“ და სხვა.

მოგონებებით გამოვიდნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი მ. კვალიაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები დ. მჭედლიძე და მ. ყვარელაშვილი.

მოხსენება ილუსტრირებულ იყო მაგნიტოფონზე ჩაწერილი გრ. გრიგორაშვილის პარტიებით. დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა გიორგი მეფის, ენგიჩარის, მეწისქვილის არიები („დარეჯან ცბიერი“, „ლატავრა“, „ალი“).

შემდეგ გაიმართა კონცერტი იმ მსახიობთა მონაწილეობით, რომლებიც, ერთ დროს, გრ. გრიგორაშვილის პარტნიორები იყვნენ. კონცერტში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ნ. ცომაია და მ. ნაკაშიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. ჩაკალიდი, ი. შუშანია და სხვა.

დასასრულს ნაჩვენები იქნა ფრაგმენტები მხატვრული ფილმიდან — „ჯურღაის ფარი“, რომელშიც გრ. გრიგორაშვილი მონაწილეობდა.

პავლე ფრანგიშვილი

პავლე იაკობის ძე ფრანგიშვილი დაიბადა 1896 წელს, თბილისში, მუშის ოჯახში. წერა-კითხვა დამ შეასწავლა. იაკობ გოგებაშვილის „დედაენით". შემდეგ თბილისის სამრევლო სასწავლებელში განაგრძო სწავლა. პარალელურად ავჭალის აუდიტორიის მუშათა დრამატულ წრეში ჩაება. რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩვენი გამოჩენილი პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი.

სასცენო ხელოვნებამ ძალიან გაიტაცა ფრანგიშვილი და მალე უსიტყვო როლებიდან უფრო დიდი როლების შესრულებაზე გადაიყვანეს: — ვიწრო ბილიკიდან შემოქმედების ფართო შარაზე გავიდა. მის მიერ შექმნილი სახეები მრავალფეროვანი და რიცხვმრავალია. თავისი მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის მანძილზე 130-მდე როლი აქვს მას შესრულებული.

პავლე ფრანგიშვილი სიძნელეებთან ჭიდილში ვაჟკაცდებოდა. დაუღალავი შრომითა და შეუპოვარი ძიებით მიიწევდა წინ და დამწყები მსახიობიდან საყოველთაოდ აღიარებულ რეჟისორად დაწინაურდა.

1919 წელს პავლე ფრანგიშვილი იწყებს რეჟისორულ მოღვაწეობას ნაძალადევისა და ავჭალის სახალხო თეატრებში.

1922 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი პავლე ფრანგიშვილს გზავნის ქალაქ ფოთში დრამატული დასის ჩამოსაყალიბებლად. ახალგაზრდა რეჟისორმა ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ მეტად პასუხსაგებ საქმეს. 1923 წელს პავლე ფრანგიშვილი კვლავ ნაძალადევის მუშათა კლუბთან არსებულ დრამატულ დასს უდგას სათავეში.

1924 წლიდან 1926 წლამდე პავლე ფრანგიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს პერიფერიებში ახლად დაარსებული დასების მუშაობაში. როგორც მსახიობი და რეჟისორი. 1926—1927 წლების სეზონში იგი მიიწვიეს ჭიათურის მუშათა თეატრში, 1939 წლამდე ამ თეატრის შეუცვლელი ხელმძღვანელი იყო.

პავლე ფრანგიშვილმა ამ წლებში მრავალი ღირსშესანიშნავი დადგმა განახორციელა. გაზეთები ერთხმად აღნიშნავდნენ თეატრის კოლექტივის პროფესიულ დაოსტატებას.

1939 წელს ქ. გორში გაიხსნა ახალი თეატრი. მის ხელმძღვანელად დაინიშნა პავლე ფრანგიშვილი. ეს შემთხვევით როდი მოხდა. მას უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა თეატრალური დასების ჩამოყალიბების საქმეში.

პავლე ფრანგიშვილი ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა საქმეს და სულ მალე საძირკველი ჩაუყარა ახალ, მუდმივ პროფესიულ დასს.

გამოცდილმა რეჟისორმა გორის თეატრშიაც ისახელა თავი.

გორის თეატრმა თავისი ჭეშმარიტი რეალისტური შემოქმედებით რესპუბლიკის ერთერთი მოწინავე თეატრის სახელი დაიმკვიდრა.

1948 წელს პავლე ფრანგიშვილი კვლავ უბრუნდება აკ. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრს და ჩვეული ენერგიით ხელმძღვანელობს მას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაარსების დღიდან პავლე ფრანგიშვილი მისი პრეზიდიუმის უცვლელი წევრი იყო.

პავლე ფრანგიშვილი კეთილი და უაღრესად გულისხმიერი ადამიანი იყო. იგი თეატრის მოღვაწეთა შორის საერთო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

ალექსანდრე გომელაური

ქართულმა საბჭოთა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა შესანიშნავი მსახიობი და მოქალაქე, საყვარელი მეგობარი და ამხანაგი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალექსანდრე გიორგის ძე გომელაური. 40 წლის განმავლობაში იგი ერთგულად, თავდადებულად ემსახურებოდა დიდ და კეთილშობილურ საქმეს — ქართულ თეატრს. ის იყო ბრწყინვალე ხელოვანი, კეთილსინდისიერი, პატიოსანი ადამიანი და გულისხმიერი მეგობარი.

ალ. გომელაური ეკუთვნოდა იმ გამოჩენილ მსახიობთა თაობას, რომელმაც შექმნა მარჯანიშვილის თეატრის დიდება. ჩამოაყალიბა მისი შემოქმედებითი მრწამსი, ხალხის სიყვარული მოიხვეჭა და ქართულ სასცენო ხელოვნებას ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს იქითაც გაუთქვა სახელი. ალ. გომელაურმა ასზე მეტი როლი შეასრულა. მისი სცენური სახეები აღბეჭდილი იყო დიდი სიმართლით და ადამიანური უშუალობით. ასეთივე მართალი და ცხოვრებაშიც. დინჯი და აუჩქარებელი, საერ-ცხოვრებაშიც დინჯი და აუჩქარებელი, საერ-თო საქმისა და ამხანაგისათვის თავდადებული, უწყინარი, ალალმართალი და მოსიყვარულე ადამიანი.

ალ. გომელაური დაჯილდოებული იყო შესანიშნავი სცენური მონაცემებით, ხმით, გარეგნობით, გარდასახვის უნარით, ჯანსაღი იუმორით. იგი ბარაქიანი შემოქმედი იყო, უხვად თესავდა თავის მადლს და მაყურებლის გულწრფელ აღტაცებასა და სიყვარულს იმკიდა.

დაუვიწყარია მის მიერ შექმნილი სახეები: შვეიკი (ჰაშეკის „გულადი ჯარისკაცი შვეიკი"), გიორგი („ჩატეხილი ხიდი"), დედას ბიჭი (უ. ჩხეიძის „გიორგი საკაძე"), კაკუტა (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი"), მოურავი და გიჟუა (ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"), ჰორტენზიო (შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება"), მამალხინე და არსაითა (გ. შატბერაშვილის „რკინის პერანგი" და „ძველი სახლი"), ბობჩინსკი (გოგოლის „რევიზორი"), ილია ჭავჭავაძე (გ. ნახუცრიშვილის „წიწამური") და მრავალი სხვა, რომლებსაც დიდი პატივისცემითა და მოწიწებით მოიხსენიებს ქართული თეატრის მემატიანე. ალ. გომელაურმა თავისი შემოქმედების მადლი მიიტანა ქართულ კინემატოგრაფიაშიც. ქართული ესტრადა ხომ წარმოუდგენელია მისი დიდი ღვაწლის გარეშე.

ალ. გომელაური იყო დაუღალავი საზოგადო მოღვაწე. თეატრში მუშაობა და ხალხის სამსახური განუყოფელი მცნება იყო მისთვის. იგი რამდენჯერმე იყო არჩეული რაიონული საბჭოს დეპუტატად, სახალხო მსაჯულად. ყველგან და ყოველთვის, ყოველგვარ დავალებას პირნათლად, ხალისითა და პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებდა. იგი წავიდა ჩვენგან ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დაუბერებელი. მისგან ჯერ კიდევ ბევრს ველოდით, სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვული კვლავ თეატრზე ფიქრობდა, თეატრზე ოცნებობდა, თეატრით სუნთქავდა.

ჩვენთვის, ქართული თეატრის მუშაკებისათვის, ისევე როგორც ყველა ქართველი ადამიანისათვის, რომელსაც უყვარს თეატრი, არსებობს რამდენიმე წმიდა სახელი, რომელთაც უკვდავება უწერიათ. დღეიდან მათს სახელებს ალექსანდრე გომელაურის ნათელი სახელიც მიემატა.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, კეთილშობილო ქართველო, ხალხის საყვარელო შემოქმედო.

Краткая аннотация

27 марта—МЕЖДУНАРОДНЫЙ ДЕНЬ ТЕАТРА

В 1948 г. в Праге был создан Международный институт театра, призванный способствовать расширению культурных связей между народами. Созданный по его инициативе «Национальный театр», в течение марта-июня каждого года подводит итоги театрального сезона. 27 марта сего года страны участники этой международной организации в пятый раз отметили день театра. В номере напечатан отчет о торжественном заседании, посвященном дню театра. Организаторы — Т. О. и Министерство культуры ГССР.

VI с"езд Театрального Общества Грузии

В номере напечатан подробный отчет о работе VI с'езда Театрального Общества Грузии, состоявшегося 9 июня 1966 года. С отчетным докладом о деятельности ТО Грузии, состоявшегося 9 июня 1966 года. V с'езда, выступил председатель ТО Грузии, нар. арт. респ. Д. Антадзе. Докладчик обстоятельно проанализировал работу грузинских театров в свете насущных проблем современного искусства. О работе ревизионной комиссии с'езду докладывал нар. арт. респ. В. Нинидзе.

В прениях выступили Н. Швангирадзе, Ш. Габескирия, В. Челидзе, М. Мревлишвили, Г. Лордкипанидзе, С. Мтварадзе, Малико Мревлишвили, министр культуры ГССР О. Тактакишвили.

С'езд приветствовали представители театральных обществ братских республик: В. Остальский (РСФСР), А. Соломарский (Украина), А. Ходжаев (Узбекистан), М. Апостолов (Молдавия), Р. Копланян (Армения), М. Марданов (Азербайджан), А. Малдахматов (Киргизия).

С'езд избрал новый состав Президиума и ревизионной комиссии.

В работе с'езда принимали участие: секретарь ЦК КП Грузии Д. Стуруа, зам. Председателя Совмина Грузии В. Сирадзе, зав. отделом агитации и пропаганды ЦК КП Грузии Ш. Саларидзе, секретарь Т. К. КП Грузии Э. Салуквадзе.

Конференции зрителей

В номере напечатаны корреспонденции из Кутаиси и Цхинвали, о проведенных там конференциях зрителей.

В Кутаисском драматическом театре им. Л. Месхишвили обсуждались четыре спектакля театра: «Вчерашние» Ш. Дадиани, «Карусель жизни» П. Какабадзе, «Браконьеры» Э. Раннета и «Нерон» Л. Саникидзе. Выступившие на конференции театроведы В. Кикнадзе и А. Трапаидзе отметили высокий профессиональный уровень спектаклей, прекрасные актерские работы нар. арт. СССР А. Васадзе. Доцент И. Майсурадзе остановился на вопросах сценической речи актеров с точки зрения языковых норм и культуры произношения.

В Цхинвальском драматическом театре им. К. Хетагурова работают две труппы —

осетинская и грузинская. Участники конференции просмотрели четыре спектакля грузинской труппы — «Дочь прокурора» И. Журули, «В заповеднике» В. Канделаки, «Шайтан-Хихо» и «Борис Дзнеладзе» Г. Нахуцришвили и три постановки осетинского коллектива — «Сердце матери» С. Кайтова, «Побег жениха» Г. Гагиева и «Доброта народная» Гафеза. Театроведы А. Трапаидзе и А. Шалуташвили, режиссеры М. Ольшаницкая и К. Сурмава проанализировали спектакли театра. Лучшее впечатление оставили постановки осетинской труппы, хотя преобладание в репертуаре пьес мелодраматического плана снижает художественную ценность спектаклей. Оставляет желать лучшего декоративное и музыкальное оформление спектаклей.

На конференции также выступили Н. Швангирадзе, педагог В. Касрадзе, Н. Кевлишвили, зав. отделом культуры Ю. О. Облисполкома тов. Г. Кокоев.

Диспут о работе тбилисских театров юного зрителя.

Статья посвящена диспуту, организованного ТО, Министерством культуры и ЦК ЛКСМ Грузии.

Театроведы, режиссеры, руководители театров обсуждали спектакли грузинского и русского ТЮЗ-ов. Театровед К. Ниникашвили дал положительную оценку репертуарной политике грузинского театра Юного зрителя, общий профессиональный уровень спектаклей и слаженность актерского ансамбля. Режиссер М. Ольшаницкая выразила пожелание, чтобы тема воспитания всегда была краеугольным камнем в репертуаре Русского ТЮЗ-а. Докладчик особо выделяет удачные постановки театра — «Недоросль», «Белоснежка и семь гномов» и др.

В диспуте приняли участие театроведы А. Шалуташвили, Э. Галустова, А. Трапаидзе, режиссеры М. Гижимкрели и Р. Шаптошвили, засл. деят. иск. С. Челидзе и И. Гвинчидзе.

На гастроли в Одессу

Открылся летний гастрольный сезон. Впервые за пределы республики выезжает областной театр. Талантливый коллектив сухумцев покажет одессатам свои лучшие постановки: «Сказанное в горах» по А. Казбеги, «Бахтриони» Д. Гачечиладзе, «Старинные романсы» О. Чхеидзе, «Сказка дремучего леса» по В. Пшавела, «Бравый солдат Швейк» Я. Гашека, «Царь Эдип» Софокла и «Привидения» Эдуардо де Филиппо.

В статье дается обзор гастрольных спектаклей театра.

Публичные доклады

В журнале напечатаны материалы о публичных докладах, прочитанных в ТО Грузии.

В Тбилиси гостила консультант ВТО Янина Брунак, изучающая сценическое движение и пластику актеров драматического театра. Просмотрев несколько спектаклей различных грузинских театров, докладчик высоко оценила присущие грузинским актерам искусство жеста и выразительного движения (спектакли—«Я, бабушка, Илико и Илларион», «Я вижу солнце» и др.).

В постановках «Последний маскарад» (реж. Г. Жордания), «Дон Кихот ведет бой» (реж. М. Пясецкий) удачно найденный прием проводится во всех звеньях спектаклей. Были высказаны некоторые критические замечания в адрес отдельных исполнителей спектакля «Измена» в театре им. К. Марджанишвили.

На открытом заседании секции критики ТО Грузии был прочитан доклад театроведа А. Трапаидзе: «Творческий облик театральной молодежи Тбилиси». Докладчик затронул проблемы современного театра, остановился на пьесах советских драматургов пишущих о молодежи, на работах молодых режиссеров, актеров, художников и композиторов, чье творчество рождает завтрашний день грузинского театра.

Грузинский театральный институт за пределами республики

В номере напечатана корреспонденция о творческих связях грузинского ГИТИС. В 1965 г. в Грузию приехали студенты режиссерского факультета Ереванского художественного института, показавшие «Я, бабушка, Илико и Илларион» Н. Думбадзе и Г. Лордкипанидзе. Через год, с ответным визитом, в Ереван приехали грузинские студенты, которые привезли в столицу Армении «Учитель танцев» Лопе де Вега. Весной нынешнего года в учебном театре Московского ГИТИСа им. А. Луначарского проходил смотр студенческих работ театральных институтов страны.

Показанная на смотре курсовая работа студента IV курса режиссерского факультета Г. Кавтарадзе «Гость и хозяин» заслужила высокую оценку жюри смотра.

Творческие вечера

В номере журнала напечатаны корреспонденции из г. г. Поти, Самтредиа и Чиатура о проведенных там творческих вечерах деятелей искусств Грузии.

В Потийском театре им. В. Гуния состоялся творческий вечер актера, режиссера и театрального организатора засл. арт. респ. С. Каландаришвили. С докладом о жизни и деятельности С. Каландаришвили выступил театровед В. Кикнадзе.

25-летию сценической деятельности артиста Гиви Модебадзе был посвящен творческий вечер, состоявщийся в Чиатурском театре им. А. Церетели. О творческой деятельности юбиляра присутствующим рассказал засл. деятель иск. С. Цомая.

Самтредский народный театр чествовал своего любимого актера, художественного руководителя театра Д. Табидзе. С докладом о творчестве Д. Табидзе выступил А. Девидзе.

Памяти друзей

Под таким заголовком в журнале напечатаны отчеты о вечерах памяти нар. арт. респ. Г. Шавгулидзе, Г. Григорашвили и некрологи о П. Прангишвили и А. Гомелаури.

ТОГ

ВЕСТНИК

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1966

№ 2 (35)

ფასი Цена 20 კაპ. коп.

გადაეცა წარმოებას 11|VII 1966 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6|VIII 1966 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2,25

შ. 3148 უე 06916 ტ. 200

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3

Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3